# სახალხო გაზეთი

№ 403 კვირა, 18 სექტემბერი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 403

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ღირება 4 მანეთად.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპოდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სასახლის ქ., დ. ზ. სარაჯიშვილის სახლი, მისავალი ეზოდან.

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

## ყოველ-დღიური სააოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.


ამ ნომერში ექვსი გვერდია.


პროვინციაში ზ ა ს ა ს უ ი დ დღევანდელ ნომერთან რიგდება განცხადების ფურცლები სანერგე „სანდო"-სი. (1.1510.1)

## „სახალხო გაზეთი"

სურათებიანი დამატებით

1 ენკენისთვიდან წლის ბოლომდე

ღირს 3 მან. 20 კაპ.

ერთი თვით, როგორც ქალაქში ისე მის გარედ . . . 80 კაპ.

ფოსტის ადრესი: ტფილისი, „სახალხო გაზეთი". (п. я. 190)

რედაქცია და კანტორა იმყოფება: სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლში, შესავალი ეზოდან.

## დ. ყვირილაში

„სორაპანის" სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა „სახალხო გაზეთზე". აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად.

კნეინა დარია დღვანის ასული და კნეინა ეკატერინე სვიმონის ასული ანდრონიკაშვილებისა, კნეინა ეკატერინე და კნეინა ელენე ალექსანდრეს ასულნი და თავადი ილია მიხეილის ძე თარხან მოურავი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთ და ამხანაგთ, რომ ამა ენკენისთვის ოცში იქნება გარდახდილი წლის წირვა და პანაშვიდი საყვარელისა და დაუვიწყარის პირველის—შვილისა მეორის—მეუღლისა, მესამის—ძმისა და ცოლის ძმის

თ-დ გიორგი ალექსანდრეს ძის ანდრონიკაშვილისა.

წირვა და პანაშვიდი იქნება შესრულებული იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიაში, ყორღანოვის ქუჩაზე, სადაც დაკრძალულია. დასაწყისი $9^1/_2$ საათზე. (2.828.1)

## ახალი კლუბი

ორშაბათს, 19 ენკენისთვეს, 1911 წ. საღამოს 7 ს. დანიშნულია

## მეორე საგანგებო საზოგადო კრება

ახალი კლუბის წევრთა, ნაცვლად იმ კრებისა, რომელიც იყო დანიშნული 12 ენკენისთვეს და რომელიც არ შესდგა. (3—1432—3)

## ა. შანშიაშვილის „შვების თავადი"

ფასი 60 კაპ.

„სახალხო გაზ." ხელის მომწერთათვის 40 კაპ.; იყიდება ყველგან. საწყობი: ქართვ. ამხან. სტამბაში (ვანქის ქ., № 12) გამომცემელ მ. ნემსაძესთან. (10—6)

კვირას, 18 ამა თვეს, ზუბალაშვილის სახალხო სახლში მოწვეულია

## ტფილისის მომხმარებელ საზოგადოების „მომავალი"-ს საგანგებო კრება.

გასარჩევია შემდეგი კითხვები: 1. მოხსენება გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა, 2. განხილვა ანგარიშებისა, 3. დაწყება მოქმედებისა, 4. განხილვა გამგეობის მიერ წამოყენებულ ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ მოქმედებისა და 5. დამატებითი არჩევნები გამგეობის წევრებისა. კრება გაიხსნება ნაშუადღევის 2 საათზე. აქვე შეუძლიან მსურველს წევრად ჩაწერა და კრებაზე მონაწილეობის მიღება.

(2.829.2) საზოგადოების გამგეობა.

## ტფილისის კერძო საავადმყოფო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებით სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან. ტელეფონი № 590.

სტაციონალურ ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, მხოლოდ გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები შემდეგ დროს:

ექიმი-ქალი ვერბიცკისა-ფირალოვისა ლ. ე.—სამშობიარო და ქალის სნეულ. ყოველ დღე 11—12 ს.

გედევანიშვილი მ. ა. ნერვ. და ელექ., შაბათ., $10^1/_2$—11 ს.

ლაგუთაძე რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$ საათ.,

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე, 1—$1^1/_2$ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე $12^1/_2$—1 ს.

ორემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ყოველ დღე 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

სიმონოვსკი გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სულხანოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

თიკანაძე ი. ე.—ქალის სნ. და სამშობიარ., ყოველ დღე 1—2 ს.

ფედოროვი ე. გ.—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე გარდა, კვირისა და ოთხშაბათისა 12—1 ს.

საავადმყოფოს აქვს მოწყობილი წამლობა „606"-ით (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაცი., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათი. საფასურით. (წ.—1029—562)

## მიიღება ხელის მოწერა მხოლოდ 1 ოქტომბრამდე არჩილ ჯორჯაძის

თხზულებათა მე-4 წიგნზე

„წერილები „ცნობის-ფურცელ-მოამბიდან" 1901-2 წ."

ფასი ხელის მომწერთათვის 35 კაპ.

ტფილისის ქართულ საფილარმონიო საზოგადოების

## სამუსიკო სკოლა

(საბურთალოს ქ. ყდენტის სახლი N 18)

მოწაფეთა მიღება: ფორტეპიანოსი, სკრიპკასა, ვიოლონჩელისა, კონტრაბასისა, სიმღერისა (solo) და თეორიისა და ნოტების კითხვისა (solfegio) კლასებში დაიწყება 25 აგვისტოს, დილის 10 საათ. ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. მასწავლებელთა სია: ფორტეპიანო—ქ. მ. კნ. ამირეჯიბისა, ო. მ. ბერგმიუფებროვისა, ნ. ვ. კალაშნიკოვისა, ე. გ. ფოგელისა და თ. ს. შაბურთვისა. სკრიპკა—ა. ნ. ყარაშვილი. ვიოლონჩელი—ე. ნ. კაპელნიცკი, კონტრაბასი—მ. ი. შერშოვი, სიმღერა (solo) ე. მ. ბრონზი, ელემ. თეორია, ნოტები. კითხვა, გარმონია და ენციკლოპედია—ზ. პ. ფალიაშვილი, ხორის კლასი—ნ. პ. სულხანიშვილი. ახლად მოწვეულია სკრიპკის უფროსი მასწავლებელი თავისუფალი ხელოვანი მ. ტ. ვახილევი (ამასთან ფასი 70 მ. წელიწადში, სწავლის ფასი: ფორტეპიანოსი, სკრიპკასა, ვიოლონჩელისა და კონტრაბასის კლასებში 60 მ. წელიწადში, მხოლოდ სიმღერა (solo) 75, სათეორიო კლასებისა 15 მან. წელიწადში. ფულის გადახდა მოხდება ნახევარი წლობით წინ და წინ, ე. ი. სწავლის დაწყებისა თანავე, სექტემბერში და იანვარში. ამ ზემო აღნიშნულ დროსვე მოხდება ხმის გაშინჯვა იმ პირთა (ქალთა და ვაჟთა), რომელთაც სურვილი აქვთ მონაწილეობა მიიღონ ფასით ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში არსებულ მგალობელთა გუნდში.

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს. (10.1463.8)

## ქ. გორში ქალთა სახელოსნო სკოლა

ელენე თარხან მოურავის ხელმძღვანელობით. პირველ სექტემბრიდან ქ. გორში გაიხსნა ქალთა სახელოსნო სკოლა სამის წლის კურსით, სადაც ისწავლება ყოველგვარი ხელსაქმე, ჭრა-კერვა და გაშმაკების კერვა. აქვე მიიღება მოწაფე ერთის წლის კურსით, რომელიც შეისწავლის განსაკუთრებით ჭრა-კერვას. აგრეთვე იქნება საღამოს კურსები მყოჯახე ქალთათვის. მიიღება ყოველგვარი საკერავი ქალთა და ბავშვთა ტანისამოსისა. მოწაფეები მიიღებიან არა ნაკლებ თორმეტი წლისა. მიიღება მოწაფედ წერა-კითხვის არ მცოდნეც. მოწაფეებს იყვანენ ბინითაც. პირობების და პროგრამის გაცნობა შეიძლება პირადად და წერილობითაც. ა დ რ ე ს ი: სამეფო ქუჩა, № 33. (10—1493—3)

## საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. (წ.—1147—141)

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

კვირას, 18 ენკენისთვეს, შუადღის 12 საათზე, ნაფიც ვექილის თანაშემწე დ. კ. გეპშტეინი წაიკითხავს ლ ე ქ ც ი ა ს: „ჟორჟ როდენბახ და მისი ქმნილება".

ლექციის შემდეგ

## სალიტერატურო-სამუსიკო განყოფილება,

სადაც მონაწილეობენ ქ-ნი დავიდოვისა, ბ-ნნი აბაშელი, ადამიძე, ახოსპირელი, ი. ბარათაშვილი, ბებიაშვილი, გულისაშვილი, ქუჩიშვილი, ჩუბინაშვილი და მატარაძე.

(2.150 .1) ლოტბარი ნ. გ. ქართველიშვილი. ადმინისტრატორი. ცინცაძე.

## მოდებისა და სამანუფაქტურო მაღაზია მ. გ. აბაშიძისა

თამამშევების ქარვასლაში, კომერციულ ბანკის პირდაპირ, №№ 27—28.

მიღებულია დიდ-ძალი საქონელი მატყლისა, აბრეშუმისა და ბამბეულისა.

გვაქვს აგრეთვე მებელის პლუშები და სხვა მატერიები.

## ფასები ძლიერ ხელმისაწვდომია.

(10.1511.1)

## ვასწავლი

ქართულ სიმღერა-გალობას (გუნდისთვის)

მიღება და ჩაწერა 20 ენკენისთვემდის.

მოწაფეებისთვის და მოხელეებისთვის სამშაბათობით საღ. 5—6 საათამდის. მუშებისთვის და ნოქრებისთვის კვირაობით დილის 8—9 საათამდის.

ადრესი: ავჭალის მოედანი № 11, სახლი ჩემოდანოვისა, მიხეილ კავსაძესთან. (15—1424—13)

ელექტრონისა და რენტგენის საავადმყოფო

## მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—108)

ექიმი პ. ა რ დ ა ზ ი ა ნ ი

შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები).

ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, N 3, დილის 9—12 ს. საღამოს 5—7. (25.822.2)

## ვაგზლის კერძო საავადმყოფო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გაჩეჩილაძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ზ. ა. ბოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—$11^1/_2$.

გ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. $11^1/_2$—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. გ. სიმონოვსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

## წამლობა „606"-ით.

(წო.—1090—160)

ექიმი ე. ვ ა შ ა კ ი ძ ე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქუჩა N 12 (—136)

ექიმი ა. ნ. დ ი ა ს ა მ ი ძ ე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4 სახლი გაბაშვილისა. (ფ)

ექიმი ივ. გომართელი,

დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფთა მიღება დილით 8—12 საათ. საღამოთი 5—7 ს.-მდე.

ვერაზე, ოლგას ქუჩა, № 20. (თ.—813—4)

ექიმი ზ. ნ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფ. სპეციალური ავადმყ., კუჭისა და ნაწლავებისა. მიღება დილ. 10—11 ს. (ბავშვ.), და 5—7 ს. (საზოგ.). მიხეილის პროსპექ. N 36, ტელეფონი 388. 25—1442—27

ექიმი მიხეილ ალაჯანოვი

სპეციალისტი საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებათა, დ ა ბ რ უ ნ დ ა, და განაახლა ავადმყოფთა მიღება ნაშუადღევის 1—4 საათამდე და საღამოს 7—9 ს.-დე. მიხეილის ქ., ტელეფ. 38, (10.1496.4)

ექიმი ე. ი. მინასიანცი.

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლავ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ს სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-დე და საღამოს 6—7 საათამდე.

ელისაბედის ქუჩა, N 39, ტელეფონი N 1067. (100—1117—13)

მედიცინის დოქტორი

## ი. გ. რუდნოვსკი

კიროჩნი ქ., სახ. № 13, ტელეფონი 1090 ოფიცერთა ეკონომ. საზოგ. პირდაპირ იღებს შინაგან და ნერვებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე დილის 9—11 ს. საღამოს 5—8 ს.-მდე. (20—1420—20)

ექიმი ქალი კბილისა ოლ. ელიზბარიშვილი-ჯანტურიასი

ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე დილის 9—2 ს. და საღამოს 4—7 ს.; კვირა-უქმ. მხოლოდ დილის 9—12 საათამდე.

ვერა, ბელინსკის ქ., № 15, სახლი ელიზბაროვისა. (თ.—1451—30)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. N 5.

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 საათ. და საღ. 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., N 12, სახლი მდივნისა.

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდე

## სექტემბრის 20-დან იხსნება

ქ. ტფილისში

## ნოტარიუსის კანტორა

მიხეილ ლავრენტის ძის ქართველოვისა.

განოვის ქუჩა, სახ. № 4. (6.1509.1)

უგუნებობა, თავის ტკივილი და გაბრუება, ყურის წივილი იმის ნიშანია, რომ კუჭი საჭმელს წესიერად ვერ ინელებს. „ფრანც-იოსების" თავანკარა მწარე წყალის ნახევარი ჭიქა, უტკივილოდ არჩენს კუჭის მოშლისა და სისხლის მოწოლას აჩერებს. „ფრანც-იოსების" წყალიო,—სწერს Professor Y. Buhl მიუნჰენში—სწრაფად მოქმედებს და საზოგადოდ სასიამოვნო გემოცა აქვსო". Мотцль. 181577. (1.1508.1)


## ტფილისი, 18 სექტემბერი

**ახალი პრემიერის დანიშვნის გამო.**

კოკოვცევის შესახებ მრავალი წერილი იბეჭდება რუსულ გაზეთებში.

ყველას ეინტერესება, რანაირ პოლიტიკას დაადგება ახალი პრემიერი პირველ ხანებში; როდესაც მხოლოდ ხმები დადიოდა კოკოვცევის დანიშვნის შესახებ, მემარჯვენე გაზეთები და მათთან ერთად „ნოვოე ვრემია" თითქოს წინააღმდეგი იყო მისი კანდიდატურისა, ეს არც გასაკვირველია. ვინც თვალ-ყურს ადევნებდა მემარჯვენე გაზეთების მიერ ატეხილ განგაშს, მიხვდებოდა, რომ გაზეთებისაგან, რომელნიც მომენტით სარგებლობდნენ და ებრაელების აკლების საჭიროებას ჰქადაგებდნენ, მეტს ვერაფერს მოელოდებოდა ადამიანი. მაგრამ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობის ჯერ ისევ დროებით აღმასრულებელმა კოკოვცევმა ენერგიული ზომები მიიღო და ბარბაროსულ აკლება-აწიოკებას ყოველივე გზა დაუხშო. ასეთი განკარგულებანი ახალ მინისტრისა როგორღაც ვერ ეგუებოდა მუდამ საბრძოლველად გამზადებულ რუს ნაციონალისტების სულიერ განწყობილებას. სხვა მხრივადაც მემარჯვენეთათვის კოკოვცევი სასურველი კანდიდატი არ იყო, თუმცა მის კონსერვატორობაში ეჭვი არავის დაჰბადებია. კოკოვცევს ძალიან კარგად იცნობს რუსეთის საზოგადოება. იგი ხშირად გამოდიოდა ხოლმე სალაპარაკოდ სახელმწიფო სათათბიროში, და ყველა ისე იცნობს მას, როგორც დამშვიდებულ ტემპერამენტისა და კონსერვატორ აზრების მქონე ადამიანს. თუ, მიუხედავად ამისა, რუსის ნაციონალისტები, პირველ ხანებში მაინც, უკმაყოფილებას აცხადებენ კოკოვცევის დანიშვნის გამო პრემიერად, ეს მხოლოდ იმის მომასწავებელია, რომ მათი გულის ზრახვანი მებრძოლ ნაციონალიზმის საზღვარს ვერ გადასცილებია.

კოკოვცევი, როგორც ეს, სხვათა შორის, „როსსია"-ში დაბეჭდილ ოფიციოზურ დეკლარაციიდანა სჩანს, თავის თავს სტოლიპინის სულიერ ავლა-დიდების მემკვიდრეთა სთვლის. ნათლადა და ცხადათაა გამოთქმული ის აზრი, რომ ახალი კაბინეტი, კოკოვცევის მეთაურობით განაგრძობს იმ პოლიტიკას, რომელსაც ადგა სტოლიპინი. თუ ეს ასეა, მემარჯვენე ჯგუფებსა და მებრძოლ ნაციონალისტებს სადარდებელი არაფერი უნდა ჰქონოდათ. მაგრამ ისინი მაინც უკმაყოფილონი არიან. უკმაყოფილონი არიან იმიტომ, რომ მისი მოქმედება არ იქნება ისეთი „იმპულსიური" ხასიათისა, რანაირიც ნაციონალისტებსა სურთ, ამას თავმდებია თუნდა ის გარემოება, რომ მეთაური რუსეთის პოლიტიკისა ამასთანავე ერთად ფინანსთა მინისტ-

რიც იქნება. ფინანსები კი ყველაზე ნაკლებ ეთვისება „იმპულსიურ“ ზედ-გავლენას.

სხვაფრივ არსებითად არაფერი შეიცვლება. ოფიციოზურ „როსსია“-ში დაბეჭდილი დეკლარაცია ანითარებს იმ გეგმას, რომელსაც მიიღებს ახალი კაბინეტი სამოქმედოდ. ასეთი დეკლარაციები არა ერთხელ და ორჯელ მოუსმენია რუსეთის საზოგადოებას. ხაზ-გასმითაა აღნიშნული, რომ უკანასკნელი მკვლელობა მთავრობას გზას ვერ ააქცევინებს, არც აბსოლიუტიზმისკენ გადაიხრება იგი, მაგრამ ნაციონალურ პოლიტიკის წარმოებაზედაც ხელს არ აიღებსო. რანაირ კონკრეტულ ფორმებში გამოიხატება ნაციონალური პოლიტიკა ახალი კაბინეტისა, ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს, მაგრამ არსებითად რომ იგი ძველისაგან არაფრით განირჩევა, ამის თქმა ეხლავე შეიძლება.

## სომხური პრესა

### სომეხ-ქართველთა ურთიერთ განწყობილების შესახებ*)

გაზეთ „ჰორიზონის“ № 177-ში მოთავსებულია მეთაური წერილი არჩევნების გამო ქართულ პრესის ერთ ნაწილის მიერ გამოთქმულ აზრების შესახებ.

ამ წერილის შესავალში ის აზრია გამოთქმული, რომ რეაქციონურ ხანისა გამო, შესაძლებელი გამხდარა ნაციონალისტურ—შოვინისტურ აზროვნების გაცხოველება. საზოგადოებაში არსებობს განხეთქილება, ერთი მეორის წინააღმდეგობა, ნაცვლად საერთო ინტერესებისა; სოლიდარობის გრძნობა თან და თან სუსტდება და იდუპება.

აღარ ისმის ხმა საზოგადოებრივი იდეალის დასაცავად; ინდიფერენტიზმს შეუპყრავს ყველაო.

და აი, ამ პირობებში, ამ გვარ საზოგადოებრივ ატმოსფერაში სცოცხლობს ერთი ძლიერი, დაუღალავი მოღვაწე—საზოგადოებრივი სენი—შოვინიზმი.

კავკასიის სატახტო ქალაქი დიდი ხანია, რაც განიცდის ამ ავადმყოფობას. და ეს სენი ვრცელდება ბნელ რეაქციის დროს, მოვიგონოთ გოლიცინის დრონი. თუ ეხლაც სცდილობენ იმ დროსთან დაბრუნებას, ამის ერთად ერთი მიზეზი ის არის, რომ სხვა და სხვა საზოგადოებრივ ჯგუფებს დაჰკარგვიათ საზოგადო, სალი იდეალები.

წარმოიდგინეთ ერთი უშველებელი ქალაქი. მისი გონებრივი ცხოვრება, მისი მსოფლმხედველობა გამოიხატება მისივე საზოგადოებრივ აზროვნების ასპარეზში ესე იგი პრესაში. მერე რას ვხედავთ?

სწორედ პრესა აბობოქრებს ნაციონალისტურ მოუთმენლობას. სწორედ პრესა ჰხმარობს ყოველ გვარ ძალ-ღონეს საზოგადოებრივი აზრის ავადმყოფობის გაძლიერებისათვის.

ქართულ შოვინიზმის საშინელი წარმომადგენელია დღეს ერთი გაზეთი, რომლის წინაპარი რამდენიმე წლის წინად, როდესაც ჩვენში განთავისუფლების გაზაფხული იყო, ამ მოძრაობის უკიდურეს მემარცხენე მხარე ეჭირა და საკაცობრიო იდეალებს, ერების ერთობას დაჰმღეროდა. თუ იმ დღეებს, მოვიგონებთ, დავინახავთ, რომ ეს გაზეთი სომეხ-თათართა შეტაკების შესახებ მუდამ იმ აზრს გამოსთქვამდა, ამ დიდ უბედურების ერთად ერთი მიზეზი ნაციონალიზმიაო. დრომ გაიარა და დღეს იმ გაზეთის მოადგილეს სხვა აზრი, სხვა საქმე არა აქვს, თუ არა ნაციონალისტურ განსხვავების დამყაყებულ შოვინიზმის ღეჭვა; აწ ამ საქონელს აქვს ფასი. და რისთვის არ ისარგებლონ იმით როდესაც სიცარიელეს და უდაბნოს წარმოადგენს საზოგადოებრივი ნაყოფიერი სპეტაკი ასპარეზი? საზოგადოებრივი აზრის მომშხამველნი იმდენად მაინც უნდა იყვნენ ჰკვიანნი, რომ ადვილად არ გამოცხადებულიყო მათი ხელობის სასაცილო უაზროება? აბობქრებული გრძნობები არაბუნებრივ მდგომარეობას ჰქმნიან.

შემდეგ წერილის ავტორს მოჰყავს ერთი რუსი „პატრიოტის“ მაგალითი, რომელიც თურმე უსაზღვრო აღტაცებაში ყოფილა იმის გამო, რომ კარგად ვაჭრობს, ვინაიდან ამ გვარი მოაზრეთა მიზანია რუსის საქონლის გასაღება რუსისავე ხელით. გაზეთის აზრით ეს შხამია, რომელსაც შესთავაზებენ საზოგადოებას ბეჭვდითი სიტყვის საშუალებით.

საშიშარი ის არე იქნებოდა ეს შხამი, თუ რომ ამავე დროს ყოფილიყო ამ შხამის გავლენის საწინააღმდეგო საშუალება, თუ რომ ისმოდეს მოწინააღმდეგე, გამაფხიზლებელი ხმა. უბედურება იმაშია, რომ ისინი, ვინც საზოგადოებას შხამს აწვეთებენ, მდგომარეობის ერთად ერთი ბატონები არიან.

შემდეგში გაზეთი იგონებს იმ დროს, როდესაც ქართველი შოვინისტები საშინელის ხმით გაიძახოდნენ, განდევნეთ სომხები ქართველთა დედა ქალაქიდანაო. მაშინ მოიპოვებოდა ერთი გიორგი წერეთელი მაინც, რომელიც თვისი გაზეთის საშუალებით პასუხს აძლევდა ქართველ შოვინისტებს და დასცინოდა, მოამზადეთ ურმები, ეზლები სომხების ქონების ოქვენ სახლში გადასატანადაო.

დასასრულ, გაზეთი ეხება სომხებს, და იძახის, რომ ნაციონალისტურ გრძნობების აღელვებაში სომხებიც ყოფილან დამნაშავენი, თუმცა ამ გვარი მოუთმენლობა, შეიარაღებული შოვინიზმი არასოდეს სომხებისათვის არ ყოფილა სასურველი მდგომარეობა, რადგანაც სომხურ პრესის ისტორიაში არ არსებობს იმ გვარი ფურცლები, რანაირიც გადაიშალა ადგილობრივ სომხურ და ქართულ პრესაში, ამ პრესის შესახებ შესაძლებელია ბევრი რამ ცუდი ითქვას, მაგრამ ის კი სიმართლეა, რომ სომხურ პრესა, მიუხედავად მიმქრთულებისა, ყოველთვის მოწინააღმდეგე ყოფილა ერთა შორის განხეთქილების ჩამოგდებისა.

და ეხლაც, როდესაც ჩვენ მიერ აწერილ ავადმყოფობას ეპიდემიის ხასიათი მიუღია, სომხური პრესის მოვალეობა უფრო კარგად შეასრულოს თავისი როლი.

ამნაირის სიტყვებით ათავებს თავის მეთაურს „ჰორიზონი“.

*) ამ წერილის შესახებ რედაქცია ზვალ გამოსთქვამს თავის აზრს. რედ.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **კახეთის რკინის გზა.** მთავრობის ინჟინერი რახმანინი, რომელიც დანიშნულია კახეთის რკინის გზის გაყვანის მთავარ ხელმძღვანელად, გუშინ ქალაქის გამგეობას წარუდგა და სთხოვა: გვაცნობეთ, თქვენის აზრით რა ადგილას უმჯობესია კახეთის რკინის გზის საქონლის სადგურის აგება, რადგან ამ საკითხის გადაწყვეტას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც კახეთის მცხოვრებთათვის, რომელთაც საქონელი ტფილისში უნდა ჩამოიტანონ, ისე თვით რკინის გზის გამგეთათვისაო. ამ საკითხის თაობაზე გუშინვე გამგეობას საგანგებო კრება ჰქონდა. თავის გადაწყვეტილების განსახილველად წარუდგენს ქალაქის საბჭოს მომავალ კრებას.

✦ **თეატრებში და სხვა გასართობ დაწესებულებებში წესიერების დაცვის წესები** ტფ. პოლიცმეისტერმა საგანგებო ბრძანებაში უკვე ჩამოსთვალა 33 მუხლად და სახელმძღვანელოდ ქალაქის პოლიციას დაუგზავნა.

✦ **ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიის** კრების გაგრძელება სამშაბათს, 20 აგვისტოს, მოჰხდება. კომისიამ უნდა განიხილოს ქალაქის გამგეობის 1909 წლის საფინანსო ანგარიში. კრებაზე მოწვეულნი არიან: სახელოსნო სასწავლებლის დირექტორი ბ-ნი აკუნოვი, ქალაქის მთავარ ბუჰგალტერის თანაშემწე ბ-ნი ოტიანცი და სხვანი.

✦ **ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ**, დღეს 18 სექტემბერს, მუშტაიდის ბაღში გაიმართება **სეირნობა** საქველმოქმედო ბაზარით.

✦ **ზუბალაშვილების სახალხო სახლში დღეს**, შუადღ. 12 ს., ნაფიც ვექილის თანაშემწე დ. გეპშტეინი წაიკითხავს **ლექციას**: „ჟორჟ როდენბახი და მისი შემოქმედება“. ლექციის შემდეგ სალიტერატურო დილა შესდგება.

✦ გუშინ შუადღის 12 საათზე, კავკასიის გზათა სამმართველოს კანცელარიაში **პანაშვიდი გადაიხადეს** მოკლულ კანცელარიის გამგის **ინჟენერ ნ. კ. ორლოვსკის** სულის მოსახსენებლად, პანაშვიდს მოსამსახურენი და საზოგადოება დაესწრო.

✦ ი. დ. გულისაშვილმა ითხოვა ნება მიეცეს ტფილისში გამოსცეს რუსული **„ახალი გაზეთი“**.

✦ ტფილისის გუბერნატორმა **ქ. ახალციხეში** გიმნაზიის ამგებ კომისიის თავმჯდომარეს ნოტარიუსს ბუდაგოვს ნება დართო 25 სექტემბერს გიმნაზიის სასარგებლოდ **სეირნობა და ბაზარი** გამართოს.

✦ **ტფილისის ვაჭართა საზოგადოების მამასახლისმა** ა. ნ. მილოვმა კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიას, ქალაქის გამგეობას, სახაზინო პალატას, საოლქო სასამართლოს და მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოს თხოვნით მიმართა, რათა ვაჭართა კამერის მდივანს არხივებში მუშაობის ნება მისცენ, იმ მასალის შესაგროვებლად რომელიც მას ტფილისის ვაჭართა ისტორიის შესადგენად სჭირია.

✦ ბამბის მრეწველობის უფროსი სპეციალისტი კოლ. სოვ. ნ. პ. **ტარატინოვი** ეგვიპტეში გაიგზავნა.

✦ მიწად-მომწ. და მიწად-მოქმედ მთავარ გამგის კავკასიის რწმუნებული **პ. პ. არქიპოვი** სამსახურის საქმეთა გამო **სიღნაღის მაზრაში გაემგზავრა.**

✦ **საბოტანიკო ბაღის დირექტორი. ა. ხ. როლლოვი** ბათომიდან ტფილისს დაბრუნდა.

### წვრილი ამბები.

✦ 16 სექტემბერს ტფილისში 15 უპასპორტო შეიპყრეს.

✦ 13 სექტემბერს ივანე პიკეტოვის სახლის პირდაპირ 4 მუშა მიწას სთხრიდა. უცებ გამოთხრილი მიწა ჩამოინგრა და ქვეშ მოიტანა მუშა გიორგი ნიკოლოზის ძე ყარსიმაშვილი. დანარჩენმა მუშებმა ყარსიმაშვილი სიკვდილს გადაარჩინეს და სამკურნალო დახმარების აღმოსაჩენად მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

### საზოგადოებანი და კრებები.

✦ **ტფილისის ვაჭრები** მომავალ არჩევნებისათვის ცალკე **ჯგუფს** ადგენენ.

✦ **მეშვიდე საარჩევნო უბნის ქართველ ამომრჩეველთა კრება** შესდგება დღეს, დილის 9 საათზე, ცენტრალურ საავადმყოფოს დარბაზში, მუხრანის ქუჩაზე.

✦ **ქალაქის საბჭოს** მორიგი კრება ხვალ, 19 სექტემბერს, მოჰხდება. კრება, როგორც ვწერდით, სხვათა შორის, განიხილავს ნაძალადეველთა და ლოტკის გორელთა შუამდგომლობას იჯარით აღებულ საქალაქო მიწების გამოსყიდვის შესახებ.

✦ სამშაბათს, 20 სექტემბერს საღამოს 8 საათზე, დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ჩვეულებრივი **საზოგადო კრება მოხდება**, რომელზედაც საბჭო მოახსენებს თავის წევრების საარქეოლოგიო მოგზაურობას ქართლ კახეთსა და იმერეთში. რადგანაც ამავე დღეს საზოგადოების დაარსების მეოთხე წლის თავია, კრების შემდეგ ამხანაგური ვახშამი გაიმართება.

✦ დღეს ბირჟის დარბაზში მ. ა. ჯაბარი ლექციას წაიკითხავს: „ჩვენი ქალაქის თვითმართველობა და მეურნეობა.“

### სასწავლებლებში

✦ **მანთაშევის სახელობის სავაჭრო სკოლის** შენობის აგება უკვე დასრულდა. გუშინ პარაკლისის გადახდის შემდეგ სწავლაც დაიწყო.

✦ გუშინ 17 სექტემბერს, ტფილისის ვაჭართა მიერ დაარსებულ პირველ სავაჭრო სასწავლებლის არსებობის 12 წლის თავი შესრულდა, რის გამოც პარაკლისის შემდეგ, მოწაფენი სწავლისაგან განთავისუფლეს.

## ჟურნალისტის დღიური

44.

### სეირნობა წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ.

დღეს მუშტაიდის ბაღში გაიმართება სეირნობა წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ქონებათა გასაძლიერებლად. ჩვენდა საუბედუროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ სხვა და სხვა დროს გამართული სეირნობა—საღამოები საზოგადოების შემოსავლის ერთს უმთავრეს წყაროდაა გადაქცეული. საწევრო გადასახადი ყოველთვის ძალიან სუსტად გროვდება ხოლმე. სხვა რამ მუდმივი, სისტემატიური შემოსავალი საზოგადოებას არა აქვს. მოთხოვნილებანი კი დიდია. რაც მეტი დრო გადის, ეს მოთხოვნილებანი უფრო იზრდება. სკოლები, ბიბლიოთეკები, წიგნების გამომცემლობა. აღარ დარჩა მგონი არც ერთი ისეთი კულტურული საქმე, რომელიც წერა-კითხვის საზოგადოებას არ დააკისრეს. ყოველ წლიწადს საზოგადო კრებებზე გვესმის პატეტიური სიტყვები იმის შესახებ, რომ წერა კითხვის საზოგადოებას მოქმედება აკლია, რომ აუარებელი კულტურული მოთხოვნილებანი დაუკმაყოფილებელი რჩება, და სხვა. ის კი ავიწყდებათ, რომ ყველა ამაში თვით ქართველ საზოგადოებას მიუძღვის უდიდესი დანაშაულობა: განიფანტოს მან უკიდურესი ინდიფერენტიზმი, თავის ზნეობრივ ვალდებულებად დაისახოს წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ მუშაობა, და საქმეც უკეთესად წავა.

საქმის გასაკეთებლად უპირველესად ყოვლისა თანხაა საჭირო, ქონება. უფულოდ წიგნს ვერ გამოსცემთ, ბიბლიოთეკას ვერ დააარსებთ, რაციონალურ ნიადაგზე აშენებულ სკოლას ვერ შეინახავთ. ქართველ კაცს ადვილად ეხერხება ვალდებულების ჩამოშორება და სხვაზე გადაცემა. იშვიათად თუ საზოგადოების დახმარებას იგი თავის პირად ზნეობრივ მოვალეობად მიიჩნევს! თვითეულ ქართველს რომ ღრმად ჰქონდეს ჩანერგილი გულში სიყვარული თავის კულტურულ დაწესებულებისადმი, მისი ჭირი და ლხინი რომ თავის ჭირად და ლხინად მიაჩნდეს, მაშინ, უეჭველია, სრულიად სხვანაირი სურათი გადაიშლებოდა ჩვენს თვალ-წინ, და ისეთი სასარგებლო და ნდობა მოპოვებული კულტურული დაწესებულება, რანაირიც წერა-კითხვის საზოგადოებაა, დღევანდელ უნუგეშო მდგომარეობაში არ იქნებოდა..

დღეს სეირნობა იმართება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ. იმედია ქართველი საზოგადოება ეხლა მაინც მოეკიდება ყურადღებით **ამ საქმეს**, დაესწრება სეირნობას და თავისი წვლილის მიტანით საერთო საქმეს წინ წასწევს... ჩვენი დაწესებულება საზოგადოებისაგან ყურადღებასა, თხოულობს. თანაგრძნობას, იმედი აქვს, რომ ეს საზოგადოება ყრუდ არ მოექცევა თავის პირმშო შვილს, და ჩვენც ვალდებულნი ვართ ეს იმედები გაუმართლოთ...

**შინაური**

## ხალხის ბრძოლა ყაჩაღებთან

**სურები** (გურია).

ზოგიერთთა გადავარდნილ, მართლა და **ავაზაკ ყაჩაღების** მოქმედებამ, მცხოვრებნი მოთმინებიდან გამოიყვანა, რადგანაც ერთის მხრივ ხალხს ყაჩაღების უმსგავსი მოქმედება-თარეში სტანჯავდა, მეორეს მხრივ მთავრობა ვითომდა ყაჩაღების ხელის მოწყობისა და შენახვისათვის, ეგზეკუცია-ჯარიმებით ავიწროვებდა. ასეთმა ორცეცხლ-შუა ყოფნამ ხალხი მოთმინებიდან გამოიყვანა. პირველად ხალხმა მიჰმართა კეთილშობილურ საშუალებას—გადავარდნილი ყაჩაღები ბევრჯერ გააფრთხილა, ბევრჯერ წინადადება მისცა ვისაც დიდი სასჯელი მოელოდა, ხალხისავე ნივთიერი დახმარებით, გურიას გასცლოდნენ, ხოლო ვინც პარტო სამხედრო ბეგარას გაურბოდა, სამსახურში წასულიყვნენ. ასეთი გადაწყვეტილი წინადადებით ხალხმა ყაჩაღების „ქრისუფლებაც“ მიჰმართა, მაგრამ ყოველივე მუქთა ამაო დარჩა. „ვაჟბატონების“ თარეშს მაგათ უმსგავსო საქციელს ბოლო არ მოეღო, ხალხმა უკანასკნელ გადამწყვეტ საშუალებას მიჰმართა, რაკი მთავრობის დარაჯები ყაჩაღებთან ბრძოლაში სუსტნი აღმოჩნდნენ, ხალხმა თვით შეაიარაღა რამდენიმე პირი.

ამ დღეებში ხალხის რაზმელები თავს დაესხა **ავაზაკებს**; სამი მოჰკლეს და ერთი დასჭრეს. მოკლულია კეკელიძე—ავკაცობისათვის დაპატიმრებული და ციხიდან გამოქცეული და ორი რამიშვილი, რომლებიც სამხედრო ბეგარას ემალებოდნენ. ვნახოთ რანაირად იმოქმედებს სხვა ავაზაკებზე ხალხის ასეთი გამოსვლა. ნუ თუ ამის შემდეგ ეგ ვაჟბატონები ხალხის შეწუხებას კვლავ ვრად ჩაიგდებენ და განაგრძობენ თავგასულ თარეშს.

**მეხი.**

## ზელიმ-ხანის თარეში

დეპეშები.

დეპ. სააგენტო

**თემირ-ხან-შურა.** ანდის ოლქში ყაჩაღებმა სამგზავრო ექსპედიციის ინჟენერი ორლოვსკი და კონტროლიორი ვორჩენკო მოჰკლეს, ინჟინერი ჩიკალინი დაატყვევეს, დარაჯნი და მცველნი დახოცეს. ამ საქმეს ზელიმ-ხანის რაზმს აბრალებენ.

**თემირ-ხან-შურა.** ამბობენ, დამცემი ბრბო 15 კაცისაგან შესდგებოდაო. მოკლულია: გორჩენკო, ინჟ. ორლოვსკი, როტმ. დოლიძე, გზის მკეთებელი და მეეტლე. დაჭრილია 3 მხედარი და 2 მეეტლე. ინჟ. ჩიკალინი დაატყვევეს. მოკლულნი გაძარცვეს. ბრბოს აფიცერი 14 მხედრით დაედევნა.

## ქუთაისის ამ-კარგი

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის ნაყოფიერი შრომა არა ერთხელ აღგვინიშნავს ჩვენს გაზეთში. ეხლაც, როცა სეზონი თაწყებული არ არის, და ხვალ-ზეგ ველით თეატრის კარების გაღებას, დრ. საზ. გამგეობა კარგ სეზონს გვიმზადებს. ყოველ შემთხვევაში დასის შემადგენლობა ამისი თავდებია; შარშანდელ დასს მოემატა ბ-ნი ზარდალიშვილი, ქ-ნი გამრეკელისა, რომელიც წინად ბაქოს სცენაზე მოღვაწეობდა და ეჭვი არ არის ანსამბლი თუ განკარგულება თორემ დაკლებით არა დააკლდება-რა. რეპერტუარის მხრითაც სამზადისი საზოგადოებას კარგი აქვს და ეს ორი გარემოება საკმაოა, რომ ვთქვათ, სეზონი ურიგო არ გვექნებაო. ერთი რამ არის. რაც ქართულ ხელოვნების ყოველს კეთილ-მყოფელს აფიქრებს—დრამატიულ საზოგადოების დავალიანებაზე მოგახსენებთ. შარშანდელმა და წინა წლის სეზონმა ქართულ დრამატიულ საზოგადოებას 6000 მანეთი დაადო ვალად. წრეულსაც, თუ მხედველობაში მივიღებთ დასის ყოველ თვიურ ხარჯს, საზოგადოება დეფიციტს ვერ ასცდება, თუ საზოგადოებამ ხელი არ შეუწყო საქმეს; ხოლო ხელის შეწყობა უპირველესად იმაში გამოიხატება, რომ თეატრს მუდმივი მოსიარულე ყავდეს. თეატრის მუდმივი სტუმარი მოსწყვლია ახალგაზდობაა, ამიტომ ქანდარა უმეტესად არის ცარიელი; პარტერის უკანა რიგებიც, უმეტეს შემთხვევაში, სავსეა; იგივე არ ითქმის პარტერის პირველ წყებებსა და ლოჟებზე; აქ, ცხადია, შეძლებულმა ხალხმა უნდა იაროს და თეატრის წინსვლის საქმეს სწორეთ ესენი არ უწყობენ ხელს. ერთ დროს, მახსოვს აბონიმენტები დააწესეს და ამით ზოგს ნებით და ზოგსაც უნებლიეთ თეატრში სიარული დააწყებინეს. მეტყვიან აბონიმენტის მოწყობა ძნელიაო, ძნელია სააბონიმენტო ფულის შეკრებაო; მაგრამ ყოველივე სიძნელე უნდა ვძლიოთ და ეს საქმე კი მოვაწყოთ, უამისოდ წლევანდელი წელიწადიც უდეფიციტოდ ვერ ჩაივლის. ამას კი შეიძლება ქუთაისის თეატრის გაუქმებაც მოჰყვეს. ზოგიერთთა აზრით, აბონიმენტი იმდენს ვერ იზამს, რამდენსაც ფულის შეკრება თეატრის გულშემატკივართაგან, იქნება ამანაც შეამსუბუქოს თეატრის მდგომარეობა, მაგრამ წესად მაინც ის უნდა ვიქონიოთ, რომ თეატრი თეატრშივე მოსიარულე ხალხმა შეინახოს: ფულის მოკრება დახმარებით-კი დაეხმარება საქმეს მაგრამ არსებითად ვერ განკურნავს, ვინაიდან მას მუდმივი ხასიათი არ ექმნება.

* *

დიდ ხანს იცადეს ჩვენი თეატრების მსახიობთ, უთუოდ დრამატიული საზოგადოებანი, რომელიც ანტრეპრიზას ეწევიან ყველგან, მოაწყობდენ მათ დახმარების საქმეს გაჭირვებასა და მოხუცებულებაშიო, მაგრამ რაკი ამ მხრივ საზოგადოებას მოქმედება სასიამო ლაპარაკსა და სურვილებს არ გასცილებია, ურთიერთ დახმარების საქმის მოწყობა თვითონვე განუზრახავთ. ასე გვაცნობენ გაზეთებმა ქუთაისის დასის განზრახვა; ამასთანავე ისიც გვაცნობეს, რომ ქუთაისის დასს განუზრახავს საქმის მოწესრიგების შემდეგ. ტფილისისა და სხვა ქალაქების დასებს შეუთანხმდეს. დრამატიულნი საზოგადოებანი მოვალენი არიან ხელი შეუწყონ ქუთათური დასის თაოსნობას და მსახიობთა მდგომარეობის გაუმჯობესობას ხელი შეუწყონ.

* *

აქა იქ ყური მოვკარი, წერა-კითხვის საზ. ქუთაისის განყოფილების გამგეობა საზოგადო კრებას შუა ნოემბერში მოიწვევსო. ეს, თუ არა ვცდებით, მესამედ ინიშნება კრება და არ იქნა და კრების მოწვევა ვერ მოხერხდა. მართალი რომ სთქვას კაცმა, ქუთაისის განყოფილების გამგეობა, ძალიან ზანტად იქცევა. მგონი განყოფილების დაარსებიდან 2½ წელიწადზე მეტია და რაღაც გაუგებარის მიზეზით, ამ ხნის განმავლობაში ერთხელ ვერ შეკრიბა წევრნი და არ გაუზიარა მათ თვისი მოქმედების ანგარიში... იქნება გამგეობამ ამ 2½ წელიწადში ბევრი რამ სიკეთე დასთესა, მაგრამ რად გვიმალავს თავის ნაშრომ-ნაღვაწს; ნაყოფიერი მოქმედება, თუ არსებობს იგი, ისეთ პირთაც გაახალისებდა რომელნიც ახლა საზოგადოებაში ჩაწერასაც ერიდებიან; თუ ღმერთი გაწყრა და გამგეობა ხელ გაუძვრელად იყო ამოდენა ხნის განმავლობაში, მით უფრო ვალდებულია მოიწვია კრება და შეძლება მიეცა მისთვის სხვანი ჩაეყენებინა განყოფილების სათავეში.

ასეა თუ ისე მოწვევა აუცილებლად საჭირო იყო აქამდისაც და რაკი ნოემბერში დაუნიშნავთ, იმდენი სიკეთე მაინც გვიყონ რომ მოახდინონ და სხვა დროისთვის აღარ გადასდონ.

**ი. ა. ქ.**

## დრამ. საზ. გამგეობის საქმიანობა და „კლუბომანია“

(გაკვრით)

გასაკვირველია ჩვენი საქმე: სულ იმაზე ვწუწუნებთ და ვაი-ვიშს გავიძახით, რომ ქართულ თეატრში საზოგადოება ნაკლებათ დაიარებაო და იმის მაგივრად რომ ხელი შეუწყოთ ამ დიად ეროვნულ-კულტურულ საქმის რამე ნაირად გამოცოცხლებას და ფეხზედ დაყენებას, პირ იქით, რაც დრო გადის, უფრო თანდითან მისდამი ნაკლებ ხალისსა და უზრუნველობას ვიჩენთ.

შარშანდელ სეზონს თითქოს რაღაც გამოფხიზლების ნიშან-წყალი დაეტყო: მაშინ დასში მოწვეულმა ახალგაზდობამ თითქოს ახალი, გამახალისებელი ნაკადული შეიტანა და მაჯის ცემა გაუცხოველა ჩვენს მელპომენის ტაძარს. მაშინ, შედარებით, საზოგადოებაც მეტი დაიარებოდა და უმრავლესს შემთხვევაში, თეატრიდან ესთეთიურად დაკმაყოფილებულიც ბრუნდებოდა. საჭირო იყო

ენკენისთვის 18-ს, მუშტაიდის ბაღში გაიმართება

**სახალხო სეირნობა საქველმოქმედო გაზრით**

**ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ**

„საზოგადოების“ გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ყველას, ვინც კი თანაუგრძნობს სახალხო განათლების საქმეს, მოგვაწოდოს შემოწირულება ფულით თუ ნივთებით გამგეობის კანცელარიაში, სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა. გამგეობა სთხოვს შემომწირველთ, შემოწირულების გადაცემის დროს, ბარათი მიიღონ იმისგან, ვისაც გადასცემენ ნივთს თუ ფულს. (7—1492—6)

ტფილისში საზოგადო საქმისადმი ასრე [illegible]

[illegible] საზოგადოების ნდობის ბორიოტად ხმარება ჰქვიან.

ტყუილად კი არ ;ურჩევდა ბ. თუმანიშვილი საზოგადოებას უხეიროდ წაყვანილი საქმეს,—სულ არ წაყვანა სჯობიაო.

უკეთუ მცირე რიცხოვან წევრთა გამო, გამგეობას ძალა არ შესწევდა ღირსეულ დასის შესადგენად და რეპერტუარის შესამუშავებლად, რატომ ზაფხულშივე დრ. საზ. კრებების დასრულებისას, არ მოითხოვა გამგეობაში განთავისუფლებულ სამ ადგილზედ თანაშეწენი აერჩიათ; პირ იქით იგი ირწმუნებოდა, შეიძლება არჩევნები შემდეგისათვის გადავდოთ და ეხლა საქმეს ჩვენც კარგათ მოვაგვარებთო; მოგვარებაც ასეთი უნდა: ასწიეს და, როგორც იტყვიან, ძველი, გაუსაპნავი ურემი გამოაჭრიალეს....

ჩვენ არას დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ტფილისი იყო, არის და იქმნება ცენტრი ჩვენის კულტურულ ცხოვრებისა, ამიტომ ყოველთვის ჩვენს პროვინციებს მაგალითს უნდა აძლევდეს. მაგრამ. გულ ახდილად რომ ვსთქვათ, ამ საქმეში, (ქუთაისიც რომ არ ავიღოთ), სხვა პროვინციებიც კი გვჯაბნის.

დრ. საზ. გამგეობას ცოტაოდენი ფხა რომ გამოეჩინა, განა ხელიდან უნდა გაეშვა თუნდა ისეთი ნიჭიერი და მშრომელი რეჟისორი და მსახიობი, როგორც იყო ბ. ვ. შალიკაშვილი, ან მსახიობები: ლოლუა, ჯავახიშვილი, ზარდარიშვილი, იმედაშვილი?... განა არ უნდა მიეწვია ისეთი საზოგადოების მიმზიდველი მსახიობი ქალი, როგორც ქ. ნ. ჩხეიძეა?!.. სრული რეპერტუარიც ხომ არ არის შემუშავებული და გამოცხადებული..

მაგრამ აკი ზემოთაც მოგახსენეთ, დრ. სამ. გამგეობაც ეტყობა „კლუბომანიამ“ გაიტაცა და ნაკისრ საზოგადო მოვალეობის პირნათლად ასრულებისთვის აღარა სცალიან...

**გ. ა—ციხელი.**

# წერილი ბაქოდან

მოახლოვდა სწავლის დრო და მოსწავლე ახალგაზრდობამაც იწყო დენა ბაქოსკენ სხვა და სხვა აგარაკებიდან და სოფლებიდან. წელს პირველდაწყებით ქალაქის სკოლებში და მთავრობის გიმნაზიებში შესვლის მსურველთა რიცხვმა ბევრად იმატა, მაგრამ სამწუხაროდ, უადგილობისა გამო ბევრი მოსწავლე დარჩა მიუღებელი.

ჩვენს ქართულ სკოლასაც ბევრი მთხოვნელი მიაწყდა. ბავშვების უმეტესი ნაწილი ღარიბ ქართველობას ეკუთვნის. რადგანაც აქ სწავლა უფასოა და—კარგადაცაა დაყენებული, ყველას აქა ჰსურს ბავში მიაბაროს. სამწუხაროდ, დაქირავებულ შენობაში ოთახების სიმცირის გამო წელს მესამე და მეოთხე განყოფილება ერთად უნდა მოთავსდეს, რომელსაც, როგორც გამოცდილმა, მასწავლებელმა ბ. რამიშვილმა უნდა უხელმძღვანელოს. დანარჩენ განყოფილებებში ასწავლიან ქ. დიდია—ახლად მოწვეული და ქ. ჩიხლაძე. რაც შეეხება ამ უკანასკნელთ მათ, როგორც გადმომცეს, ქართველი საზოგადოება კარგად იცნობს და მათზედ დიდ იმედებსაც ამყარებს. ყველამ კარგად უწყის, თუ რა დიდი მოვალეობაა მასწავლებლობა. მასწავლებელი ფრთხილად და ფაქიზათ უნდა ეკიდოს იმ საქმეს, რომელიც მას ანდვეს; მას უნდა ჰქონდეს შესწავლილი ბავშვის ფსიხოლოგია და უყვარდეს ბავშვები, როგორც თვით საქმე.

დღევანდელმა სკოლამ ბავშს სწავლის გარდა ზნეობრივი აღზრდაც უნდა მისცეს. რასაკვირველია, ამ მხრითაც ჩვენი სკოლა ჩვენს იმედებს გაგვიმართლებს. ვიტყვი მეტს, თუ საქმე ასე წავიდა, ჩვენს სკოლას საქართველოში პირველ ადგილის დაჭერაც შეეძლება. ამას კარგად ჰმოწმობს მისი ზრდაც. ოთხი-ხუთი წელიწადი იქნება, რაც აქ დაარსდა ქ. შ. წ. გ. საზოგადოების განყოფილება, რომელმაც მეორე წელსვე გახსნა პირველ დაწყებითი სკოლა და დღეს უკვე ოთხი განყოფილება გვაქვს, სადაც ასამდე ბავში სწავლობს. მომავალ წელს პროგიმნაზიის პირველი კლასი გვექნება და ამ ოთხი კლასის დასრულების შემდეგ მოსწავლეებს შეეძლებათ გიმნაზიის მეხუთე კლასში შესვლა უეგზამენოდ.

სკოლის საკუთარი ბინის პირველი შენობა უკვე მთავრდება წელს. ამბობენ, ოქტომბერში ამ შენობაში მოთავსდება სკოლის ოთხივე განყოფილებაო. მეორის შენობას მეორე სართული დაედგმას, სადაც მოთავსდება დანარჩენი, პროგიმნაზიული, კლასები, ეკლესია, თეატრი, ქართული პროფესიონალური სკოლა, ქართველ ქალთა წრე, ბიბლიოთეკა-სამკითხველო და ერთი დიდი დარბაზი ლექციებისათვის. მაშინ ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს. განა ამის შემდეგ ითქმის რამე ქართველების საზოგადო საქმისადმი გულგრილობისა? არა ერთხელ გამიგონია: ქართველი ქეიფისათვის დაბადებულაო". ეს მართალი არ არის. როდესაც საქმე კარგად არის დაყენებული იგი მას გულგრილად როდი შეჰყურებს. არამედ მას სურს ამ საქმეს დაეხმაროს, თვისი წვლილი მოახმაროს. დაინახეს თუ არა ბაქოს ქართველებმა, საქმე კარგად მიდისო, აღარ დაიშურეს თვისი წვლილი და დღეს შემოწირულებანი უხვად მოდის.

დიახ, საჭიროა ადამიანმა დაინახოს, რომ საქმეს სასარგებლო ნაყოფი გააქვს და ის ყოველთვის მხარს დაგიჭერს, თუ მას კაცი ეთქმის. თუ რა ნაყოფი გამოიღო ქართულმა სკოლამ, ამას დღეს ყველა ხედავს. ჩვენი სურვილი სკოლის შენობას აგებისა დიდად პატივცემულმა ბ. მანსვეტაშვილმა აგვისრულა-მოგვიახლოვა, რისთვისაც მას ქართველი საზოგადოება ულრმეს მადლობას სწირავს:

არც ქალთა წრეა გულხელ დაკრეფილი. როგორც გადმომცეს, მას განზრახვა აქვს მომავალში პროფესიონალური სკოლა გახსნას. სასურველია ეს საქმეც მალე მოეწყოს და მოეწვიოთ ისეთი მასწავლებელი, რომელსაც ჭრა-კერვის გარდა შეეძლოს ასწავლოს ბავშებს ფარდაგის, ნოხის და ფარჩა აბრეშუმის ქსოვის საქმე.

**მარ-დონი.**

# ბ. გრ. რობაქიძის ლექცია ფოთში

ადგილობრივ წ. კ. გ. ს. გამგეობის თაოსნობით 10 სექტემბერს საკრებულოს დარბაზში **ბ. გრ. რობაქიძემ** ლექცია წაიკითხა ზეინაბისა (ღალატიდან) და შოთა რუსთაველის თაობაზე.

ლექციის პირველი ნაწილი ზეინაბს მოანდომა. იგი შეეხო ზეინაბის მთელ როლს საქართველოში. მან დიდის ხელოვნებით და საუცხოვო ენით გადმოგვცა სამშობლოს სიყვარული, რომელიც წარმოადგენდა ერთს საუკეთესო ნაწილს ლექციისას. ზეინაბიო—სთქვა ლექტორმა,—როგორც სამშობლოს მოსიყვარულე შვილი, როგორც წინად, ისე დღიდან მტრის ხელში ჩავარდნისა ერთ წამსაც არ ივიწყებდა მას და მუდამ მის კეთილ-დღეობაზე ზრუნავდა, მიუხედავათ იმისა, რომ ის დიდ სისასტიკესაც კი მიჰმართავდა მოსისხარ მტრის დასანახავადაო. ზეინაბმა ოცი წლის განმავლობაში ფეხქვეშ ათელვინა თავისი სხეული სოლეიმან-ხანს, მაგრამ მან ამით ანაცვალა მხოლოდ ფიზიკური „მე“, უფრო უმაღლეს სულიერ „მეს“. ზეინაბი უცდიდა მოხერხებულ დროს და ნიადაგის მომზადებას. ასეთი დრო მას დაუდგა ოცი წლის ტანჯვა-წვალებას შემდეგ და ისიც იყო სამშობლო იხსნაო. ზეინაბის სულიერი მე—ეს წმიდათა-წმიდაა, მან შესძლო და ჰქმნა ის, რაც სხვ-სთვის შეუძლებელი იყო და როგორც ასეთი, ის არის ზე ქალიო.

ასე რომ ლექციის შინაარსი თითქმის იგივე იყო მცირეოდენი ცვლილებით, რაც გ. რობაქიძემ წარმოსთქვა ზეინაბის დაცვის დრო'ს ტფილისში გასამართლების დროს.

მეორე ნაწილში კი ლექტორმა შოთა რუსთაველისა ილაპარაკა. მან თავიდანვე სამართლიანათ აღიარა, ერთ სალამოს და ისიც ლექციის მეორე ნაწილში შოთას სრულიად გარჩევა შეუძლებელიაო: ამიტომ მეო,—სთქვა ლექტორმა—არა როგორც ლექტორს,—არამედ როგორც მხატვარს მიზნად მაქვს გადმოგცეთ ლექცია მხატვრულადაო. ლექტორმა ილაპარაკა ტარიელისა, ავთანდილისა, ილაპარაკა ქაჯეთს შეპყრობილ მზისდარ ნესტანისა. ერთობ დიდი მხატვრული და მომხიბლავი ენით დაგვიხატა რუსთველის მთელი შემოქმედება—სიყვარული, რომლის სადარი მხოლოდ დანტეა. ამ ლექციას, როგორც მხატვრულ ნაწარმოებს ალტაცებაში მოჰყავდა მსმენელი,—ახე გეგონებოდათ თითქოს მთელი შემოქმედება რუსთაველისა შენ თვალწინ იდგა ერთ უმშვენიერეს მარმარილოს ქანდაკების სახით, ამიტომ გარდა იმისა, რომ მსმენელი მშვენიერ ქანდაკების სახით ხედავდა და არა ისმენდა ლექციას, გათავების შემდეგ ძალიან ცოტა დარჩებოდა მახსოვრობაში. უკეთ რო ვსთქვათ ის, ვინც შოთა რუსთაველს მისივე ნაწარმოებიდან არ იცნობს,—ლექციიდან მეტად გაუჭირდებოდა მისი გაცნობა. ეს კია, რომ მხატვრული გადმოცემით ლექტორმა ბევრი გვასიამოვნა. ლექცია იყო: შეზავებული საუკეთესო ციტატებით „ვეფხვისტყაოსნიდან“ და დასკვნა იყო; შოთა, როგორც საუკეთესო გამომხატველი სიყვარულისა.

სამართლიანობა მოითხოვს ავღნიშნოთ, რომ ლექციის პირველი ნაწილი უფრო შინაარსიანი იყო, ვიდრე მეორე.

დასასრულ უნდა ვსთქვათ, რომ ბ. რობაქიძე არის მეტის მეტი მოხდენილი და ლამაზი მოლაპარაკე. სცენაზე გამოსვლა, მანერა და პოზა საუცხოვო აქვს, რაც მსმენელზე დიდათ მოქმედობს და ჰხიბლავს.—ის არის დიდებული, როგორც ლექტორი-ორატორი. აგრეთვე უნდა ვსთქვათ, რომ ლექციას უფრო პოლემიკური ხასიათი ჰქონდა და ის სალიტერატურო სალამოს უფრო წააგავდა, ვიდრე ლექციას.

დიდი საზოგადოება დაესწრო და ლექტორიც პატივსცემით მიიღო.

**ჭრიჭინა.**

# † იასონ ივანესძე ნათაძე

(ნეკროლოგი).

კვირას, 11 ენკენისთვეს, მიწას მიაბარეს ერთი იმ მოღვაწეთაგანი, რომელიც დავიწყებული ჰყავდა საზოგადოებას, თუმცა თავის დროს, როდესაც ჩვენი საზოგადოებრივი მაჯის ცემა სუსტი იყო და საზოგადო მოღვაწენიც სათითაოდ ჩამოითვლებოდნენ მას საპატიო ადგილი ეჭირა. ძნელია საზოგადოებრივ ასპარეზზე მუშაობა დღესაც კი, მაშინ კი ერთი ათად უფრო გაძნელებული იყო. მიუხედავად ამისა, მაინც ჩნდებოდნენ თითო-ოროლა თავგამოდებული მამულიშვილნი, რომელნიც ტვირთად იღებდნენ არა მყვირალა, მაგრამ აუცილებელ და სასარგებლო საზოგადოებრივ სამსახურს. ერთი მათგანი იყო იასონ ნათაძეც.

იასონ ივანეს ძე ნათაძე დაიბადა 1848 წელს. განათლება მიიღო ტფილისის სასულიერო სემინარიაში და ყოველთვის შესანიშნავ მოწაფედ ითვლებოდა. ჯერ ისევ სემინარიაში იყო, როდესაც ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში მონაწილეობას იღებდა. მოწაფეთვე იყო, როდესაც ეხმარებოდა ქართულ თეატრსა, რასაც აღნიშნავს თავის მოგონებებში ქართულ თეატრის მემატიანე ბ-ნი ნიკ. ავალიშვილი. სწავლის გათავების შემდეგ ხომ განსვენებული იასონი მხნედ შეუდგა საზოგადოებრივ სამსახურს: თანამშრომლობდა ჟურნალ „კრებულში“ „ქიაქიაში“-ს ფსევდონიმით; სწერდა როგორც პატარ-პატარა წერილებს საჭირბოროტო საკითხებზე, ისე დიდს წერილებსაც. განსაკუთრებული ყურადღება დაუმსახურებია თავის „მგზავრის წერილებით“. მონაწილეობას იღებდა აგრეთვე სერ. მესხის „დროება“-ში, სადაც იასონი რედაქტორის მარჯვენა ხელად ითვლებოდა.

განსაკუთრებულის ყურადღებით კითხულობდნენ იასონის წერილებს

# გერმანელთა ახალშენები ამიერ-კავკასიაში

I.

(ისტორია გერმანელთა ახალშენში დაფუძნებისა ამიერ კავკასიაში ტფილისისა და განჯის გუბერნიაში.)

ვისაც რკინის გზით გაუვლია ტფილისისა და განჯის გუბერნიაზე, უეჭველად შენიშნავდა რკინის გზის ახლო მდებარე გერმანელთა ორ ახალშენს: ერთს ტფილისის ახლოს, მეორეს კი განჯის ახლოს. ამისთანა ახალშენი ტფილისისა და განჯის გუბერნიაში სულ შვიდია. დღეს მსურს გეზაასოთ იმაზე, თუ როგორა სცხოვრობენ გერმანელები ანუ ნემენცები ამ სოფლებში. მაგრამ სანამ იმათი ცხოვრების აღწერას დავიწყებდეთ, საჭიროა ვიცოდეთ, თუ საიდან, ან როდის გადმოსახლდნენ გერმანელები ჩვენში. ამისათვის ცოტა შორიდან დავიწყებთ საუბარს.

ამ ასის წლის წინად, სახელდობრ 1800 წლებში, ევროპაში დიდი ომიანობა იყო, სწორედ ამ ხანებში მოხდა საფრანგეთის დიდი რევოლიუცია. საფრანგეთში გალატაკებულმა და მიწასთან გასწორებულმა ხალხმა უკანასკნელი ღონე მოიკრიბა და თავისსავე მთავრობას შეებრძოლა, ხალხს უნდოდა მოესპო ბატონ-ყმობა და თანასწორობა დაემკვიდრებინა. მართლაც და საფრანგეთის ხალხმა გაიმარჯვა, მთავრობა დაამხო და თავისუფლების დროშა ააფრიალა. სხვა სახელმწიფოებს ეს არ მოეწონათ და საფრანგეთს ომი გამოუცხადეს. მათ კავშირი შეჰკრეს და საფრანგეთს მოსპობას უპირებდნენ, ამ დროს საფრანგეთს გამოუჩნდა დიდებული სარდალი, რომელმაც იგი განსაცდელისაგან იხსნა. ეს სარდალი იყო დიდებული ვაჟკაცი, სახელგანთქმული ნაპოლეონი. ნაპოლეონმა არამც თუ მტერი თავისის სამშობლოს მიჯნამდე არ მიუშვა, არამედ საფრანგეთის ჯარით მტერს მიუხტა კარზე, დაამარცხა იგი და ყველგან თავისუფლება გამოაცხადა. თავის ძლევამოსილი ჯარით ნაპოლეონმა მთელი ევროპა დაიპყრო და ყველა სახელმწიფოთა საზღვრები მოსპო. ნაპოლეონის მიერ დამარცხებული სახელმწიფონი არა სცხრებოდნენ და ევროპაში ომს ბოლო არ ელებოდა.

გამუდმებულმა ომიანობამ ხალხი ძალიან გაალატაკა, ნამეტნავად სამხრეთ გერმანიაში, რომელიც საფრანგეთის მოსაზღვრედ მდებარეობს ხალხი ველარა ჰხედავდა ომისა და არეულობის დასასრულს.

სწორედ ამ დროს ვიურტემბურგის საეროსთაოში გავრცელდა ხმა: „მოახლოვდა ქვეყნის დასასრული; მალე იქნება მეორედ მოსვლა. ეს არეულობა-ომიანობა წინამორბედია ანტიქრისტეს მოსვლისაო, რომელ ქრისტიანსაც ჰსურს ანტიქრისტეს ღვენისაგან თავი იხსნას უნდა გაიხიზნოს შორს აღმოსავლეთისაკენ, სადაც იესოქრისტე აღადგენს თავის სამეფოს.

ამისთანა ხმებმა, და უმთავრესად კი ომიანობისა და არეულობის მიერ გამოწვეულმა სიღატაკემ, ძალიან ბევრი გერმანელი აიძულა აყრილიყო თავის მამა-პაპათა ადგილიდან და სადღაც, აღმოსავლეთისაკენ ეძებნა ქრისტეს სამეფო; ზოგი მათგანი ამერიკაში წავიდა და ზოგმა კი რუსეთს მოაშურა. ანუ უკეთ რომ ვთქვათ კავკასიას, რადგანაც კავკასია გერმანიიდან აღმოსავლეთათ სძევს.

რუსეთის მთავრობა კავკასიაში გერმანელების გადმოსახლებას დიდის თანაგრძნობით შეეგება. იმ დროს ის-ის იყო საქართველო შეუერთდა რუსეთს, და რუსეთმაც ბაქოს და განჯის სახანოების დაპყრობით კავკასიაში თავისი მფლობელობა გააფართოვა. მთავრობას სურდა ჩაესახლებინა კავკასიის მკვიდრთა შორის გერმანელები რათა იმათგან კავკასიელთ შეესწავლათ მიწის დამუშავება და საზოგადოთ სასოფლო მეურნეობა. ამის გარდა რუსეთს ჰსურდა კავკასიის უდაბურ ადგილებში მოსახლეები გაეჩინა; ამისთვის რუსეთის მთავრობა დაჰპირდა გერმანელებს, თქვენი გადმოსახლების აზრს მე ვკისრულობ და თუ კავკასიაში დაბინავდებით (გერმანელებს უფრო შორს, აღმოსავლეთისაკენ ჰსურდათ წასვლა) მიწებს, სამეურნეო იარაღებს მოგცემთ და ორმოცდა ათ წელიწადს ყოველგვარ გარდასახადიდან გაგანთავისუფლებთო.

1817 წ. დაახლოვებით 1440 კომლმა გერმანელმა დასტოვა თავისი მამა-პაპეული კერა და ვიურტემბურგიდან კავკასიისაკენ გამოსწია. იმ დროს არც რკინის გზები იყო, და არც გზატკეცილები. გერმანელები ფურგუნებით თავიანთ ავლა-დიდებიანად ნებანება მოდიოდნენ. თითქმის სამ წელიწადს მოუნდნენ, ვიდრე კავკასიამდე მოაღწევდნენ. ბევრმა ვერ გაუძლო შორეულ მგზავრობას და გზაში დალია სული. დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ გერმანელები ჩამოვიდნენ ქალაქ ოდესაში. ბევრმა მეტი სიარული ველარ შესძლო და იქვე დარჩა. მხოლოდ ხუთასიოდე კომლმა განაგრძო გზა კავკასიისაკენ. რომ ამ ხუთასი კომლისთვის მგზავრობა გაეადვილებინა, რუსეთის მთავრობამ დაჰყო ჯგუფებად. თითო ჯგუფი ორმოცდა ათ ფურგუნისაგან შესდგებოდა. ჯგუფები ერთმანეთს რამდენიმე დღის მანძილზე მისდევდნენ. მაშინ საქართველოში მხოლოდ კავკასიის სამხედრო გზით შემოისვლებოდა. ეს გზა ეხლაც არის: იწყება კავკაზიდან, გადმოდის სტეფანწმინდაზე, დუშეთზე, მცხეთაზე და ტფილისში ჩამოდის. აი ამ გზით, დიდის გაჭირვების შემდეგ, გერმანელები ტფილისს ჩამოვიდნენ. მათ ტფილისის მაზრის სხვადასხვა ადგილას მიუზომეს თავისუფალი მიწები დაასახლეს. იმათგან ორმოც კომლამდე კარგი ხელოსნები აირჩიეს და ტფილისის ახლოს დაასახლეს. ამ ახალშენს სახელად ეწოდებოდა „ახალი ტფილისი“. შემდეგ, როცა ტფილისი გაიზარდა, ეს ახალშენიც ტფილისს შეუერთდა; სადაც წინად ეს ახალშენი იყო, ეხლა მიხეილის პროსპექტია. სადაც ეხლა ლიუტერანების ეკლესიაა მიხეილის პროსპექტზე, ის ახალშენის შუაგული იყო.

ბოლოს ჩამოსულ გერმანელებს ტფილისის ახლო-მახლო თავისუფალი მიწები აღარ ეყოთ და განჯის გუბერნიაში დაასახლეს.

სულ შვიდი ახალშენი გაშენდა, ხუთი ტფილისის გუბერნიაში: 1) ალექსანდროფი, (ტფილისთან); 2) მარიენფელდი (სართიჭალასთან, გარე კახეთი); 3) კატერენფელდი; 4) ალექსანდერჰილფი; 5) ლიზაბეტალი; ორიც განჯასთან: ელენენდორფი და ჰანეფელდი.

მიზომილ მიწებზე გერმანელებმა გააშენეს ვენახები, ბაღები, გაიყვანეს სარწყავი არხები და თავისი მუყაითობით თავიანთ სოფლები ანუ ახალშენები სამოთხეს დაამსგავსეს. გერმანელი ახალშენები ისეთი მდიდარი და მოწყობილია, რომ კავკასიაში ერთი სოფელიც ვერ შეედრება.

თუმცა ყველა ეს ახალშენები გარეგნულად ერთმანეთსა ჰგვანან, მაგრამ თავისის სიმდიდრითა და მოწყობით პირველი ალაგი ელენენდორფს უჭირავს, და მეც ელენენდორფის აღწერას შევუდგები. რასაც ჩვენ ელენენდორფში ვნახავთ, იმას მეტ-ნაკლებად ყოველ ახალშენში შევხვდებით.

II

1. აღწერა ელენენდორფისა: გარეგანი სანახაობა; ბ) ქუჩები, სახლები და მათი მოწყობილება; გ) სისუფთავე.

ელენენდორფი განჯიდან რვა ვერსის მანძილზე მდებარეობს. გასცდები თუ არა განჯიდან სამ ვერსს, თქვენ თვალს მშვენიერი სურათი წარმოუდგება; გზის მარჯ-

ბათომის ქართველები. იასონ ნათაძეს ბათომის ოლქში მოუხდა მუშაობა, იმანაც ისარგებლა ამ შემთხვევით და დიდი პროპაგანდა გასწია ქართველ მაჰმადიანთა ოსმალეთში გადასახლების წინააღმდეგ. ქართველ მაჰმადიანთა საკითხი იმ დროსაც მწვავე, საჭირბოროტო საკითხად იყო გადაქცეული, და იასონიც ყოველ ღონისძიებას იღებდა, რომ სხვებთან ერთად, ხელი შეეშალა ქართველ ხალხის ეროვნულ მთლიანობის დამრღვევ მოვლენათა გაძლიერებისთვის. თუ რამდენად სასარგებლო და ნაყოფიერი იყო იასონის მოღვაწეობა ამ ნიადაგზე, ამას ჰმოწმობს სერგეი მესხის წერილი, რომელიც განსვენებულ იასონის, მეუღლისთვის, მარიამ დიმიტრის ასულისთვის, მიუწერია. აი, რასა სწერს სერგეი მესხი იასონ ნათაძის მეუღლეს: „ეს არის ეხლა იყვნენ რედაქციაში ბათომის ოლქის დეპუტატები და ბევრი ვილაპარაკეთ ჩვენს ერთობაზედ ჩვენს ისტორიაზედ; სადილიც გაუმართეთ. სადილზე ერთხმად, საჯაროთ აი რა სთქვეს: „ართვინში მსახურობს ერთი ქართველი, იასონ ნათაძე თავის ოჯახობით; ისეთი კარგი ხალხია და სამაგალითო, რომ თუ ამისთანა ხალხი და ოჯახი ბევრია საქართველოშიც, მაშინ რაღა დაუშლის ჩვენს ერთობასაო". ამ სიტყვებმა ისეთი შთაბეჭდილება იქონიეს,—სწერს სერგეი მესხი,—რომ აღტაცებით ვწერთ ამ სტრიქონებს და მიხარიან, რომ იასონს თავისი პატიოსნებითა და სამშობლოსადმი სიყვარულით ასეთი დიდი სიყვარული დაუმსახურებიაო.

ართვინიდან იასონი გადმოიყვანეს ქალაქში იმ დროს, როდესაც ივანე მაჩაბელმა ჩაიბარა გაზეთ „დროებ"-ის ხელმძღვანელობა. იასონმა „დროება"-შიც დაიწყო მუშაობა, ყაზბეგთან ერთად, და ყურადღებაც დაიმსახურა თავისი პოლიტიკური წერილებით. იასონი ყოველთვის პროგრესულ ნიადაგზე იდგა და ებრძოდა ჩვენი ქვეყნის მრავალ-მხრივ უკუღმართობას. აღსანიშნავია, სხვათა შორის, ერთი—ფაქტი, რომელიც ცხადად ჰმოწმობს თუ ვისკენ იხრებოდა ხოლმე მისი სიმპატია. ერთი თავადიშვილთაგანი, სახელდობრ ამილახვარი, ძალიან ავიწროვებდა გლეხებს. მის წინააღმდეგ წერილებსა სწერდა მელიქიშვილი, რომელსაც იასონიც უჭერდა მხარსა. ასეთმა აშკარა გალაშქრებამ მემამულის წინააღმდეგ ისე გაამწვავა მდგომარეობა, რომ საქმე კინაღამ ხელ-ჩართულ ბრძოლამდე არ მივიდა.

კარგა ხანი მუშაობდა იასონი უანგაროდ საზოგადოებრივ ასპარეზზე, მაგრამ, როდესაც შვილები წამოეზარდა, იძულებული გახდა შორეულ მხარეს გადახვეწილიყო, რომ ამით შვილების აღსაზრდელი საშუალება გამოეძებნა. შორს იყო გადახვეწილი იასონი, მაგრამ სულითა და გულით მუდამ დაკავშირებული იყო სამშობლო მხარესთან. სიკვდილამდე არ დაუკარგავს მას ინტერესი საზოგადოებრივ საკითხებისადმი, სიკვდილამდე გულ მოდგინეთ ადევნებდა თვალ-ყურს ყველაფერს რაც კი რუსეთში ჰხდებოდა, მაგრამ განსაკუთრებულის გულ-მტკივნეულობით ეკიდებოდა თავის საყვარელ საქართველოს საქმეებს.

## † მღვდელი მიქაელ თამარაშვილი

ეს-ეს არის იტალიიდან მოვიდა სამწუხარო ამბავი. მღ. მ. თამარაშვილი, რომელსაც ქართველი საზოგადოება კარგად იცნობს, ზღვაში დამხრჩვალა. რომიდგან მოსულ გაზეთში დაწვრილებით არის აწერილი ეს ამბავი. საქმის გარემოება დაახლოვებით ასე ყოფილა:

მ. მიქაელი რომიდგან წასულა დასასვენებლად სენტა მარინელლას. 2—15 ენკენისთვეს ერთ თავის ნაცნობთან მ. Augwso-სთან ზღვის პირად დასეირნობდა. ვიღაც მუშა, ზღვაში საბანაოდ შესული, დანიშნულ საზღვარს გადასცდენოდა, და რადგანაც ცოტა ღელვაც ყოფილა, იღრჩობოდა. მის მისაშველებლად მ. მიქაელის მეგობარი გადამხტარა და მას-კი თვითონ მიქაელი მიჰშველებია. ამ დროს ზღვა უფრო აღელვებულა, მოდრაჯე მენავეთ მუშის გადასარჩენად მიუშურებიათ. ეს უკანასკნელი გადაურჩენიათ, მაგრამ მ. მიქაელისათვის ვეღარ მოუსწრიათ, მხოლოდ ცხედარი-ღა ამოუღიათ ზვირთებიდგან, მისი ამხანაგი-კი სრულებით ზღვას შთაუნთქავს...

ამ ამბავს და მ. მიქაელის გმირულს აღსასრულს გაზეთი დიდის თანაგრძნობით იუწყება, და თანაც დასძენს, რომ დიდი მწუხარება გამოიწვია ამ ცნობილ მუშაკის დაკარგვამ მის აურაცხელ პატივისმცემელთა შორის რომში.

მარინის ოჯახი და რომის წმ. ჯაუსეპეს საქრისტიანო სასწავლებლის ძმანი იუწყებიან მათ უსაყვარლეს მ. მიქაელის ტრაღიკულ აღსასრულს. წირვა შეუსრულებიათ და დაუსაფლავებიათ 3 ენკენისთვეს სანტა მარინელლას ეკკლესიაში, ხოლო 7 ენკენისთვეს გადაუხდიათ წირვა და პანაშვიდი თვით რომში.

მ. მიქაელ თამარაშვილი 48 წლისა იყო. დაიბადა ახალციხეს, და დიდი ხანია რაც რომში მუშაობდა. ვინც იცნობდა მას პირადად, მისთვის წარმოუდგენელია ასეთი მოულოდნელი სიკვდილი. ჯერ კიდევ ისე სიცოცხლითა და მხნეობით ავსილი იყო, შრომის სურვილით გატაცებული და დაუღალავი, რომ ასეთი ადამიანის დაკარგვა საზოგადოებამ დიდ დანაკლისად უნდა ჩასთვალოს. სულ მცირე ხანში მან სამი დიდი თხზულება შეადგინა და დაჰბეჭდა.

1. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის მე 19 საუკუნიდან ვიდრე მე-20 საუკუნემდე. 1902 წ.

2. პასუხ ღ სომხის მწერლებს, რომელნიც უარჰყოფენ ქართველ კათოლიკობას. 1904 წ.

3. საქართველოს ეკლესია დასაბამიდან ჩვენ დრომდე (ფრანგულს ენაზე.) 1910 წ.

ვისაც წაუკითხავს ეს თხზულებანი, იგი ადვილად წარმოიდგენს, რა დიდი შრომაა საჭირო იმ მასალების გამოკვლევისათვის, რომელნიც განსვენებულმა საფუძვლად დაიდო. მით უფრო დასაფასებელია ეს ღვაწლი, რომ იგი შეეხო ისეთ დარგს, რომელსაც არავინ მ. თამარაშვილამდე არ შეჰხებია. მან გარდა ვატიკანის და რომის სხვა წიგნთსაცავებისა, შეისწავლა მრავალი წყაროები ფლორენციის, პალერმოს, პარიზის, ლონდონის, მოსკოვის, ტრაპიზონის და სხვ. არქივებში. ყოველივე ეს მასალად გამოიყენა და კიდევ აპირებდა ეხლა ერთი დიდი საისტორიო წიგნის შედგენას. ბევრი ქართველი ყოფილა რომში, მაგრამ არც ერთს მათგანს ეს დიდ-ძალი მასალა არ უხელმძღვანელებია და იმ წყაროებისათვის არ მიუგნია...

ჩვენმა საზოგადოებამ, რომელმაც სიცოცხლეში საკმაო დახმარება ვერ გაუწია მ. მიქაელს, ეხლა მაინც უნდა დააფასოს მისი ღვაწლი, ღირსეული პატივი სცეს მის ხსოვნას და მოუაროს იმის ნაშრომს, რომელიც უსახსრობისა გამო ეხლაც გამომცემელთან ყოფილა დაგირავებული.

**ერთი პატივისმცემელთაგანი.**

## ქოოპერატიული მოძრაობა

მოსკოვის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირის წლიურ ანგარიშში მოყვანილია ახალი სტატისტიკური ცნობანი რუსეთსა და საზღვარ-გარეთ არსებულ კოოპერატიულ ორგანიზაციებისა.

დიდი ხანი არ არის მას აქეთ, როდესაც ასეთ ორგანიზაციების რიცხვი რუსეთში ათობით აღინიშნებოდა, დღეს-კი, როგორც 1911 წლის 1 იანვრის აღწერილობა ჰმოწმობს, რუსეთში—ფინლიანდიის გარდა—4000 მეტი მომხმარებელი საზოგადოება ითვლება.

ყველაზე მდიდარი ამგვარის საზოგადოებით არის კიევის გუბერნია, სადაც არსებობს—565 კოოპერატიული დაწესებულება. შემდეგ პოდოლის გუბერნია—391, პერმისა—226, პოლტავისა—216, პეტროკოვსკისა—164, ვოლოგოდსკისა—156, ნოვგოროდისა—154 და სხვა. მაგრამ არის, რასაკვირველია, მეტად „ღარიბი" გუბერნიებიც. მაგალითად ასტრახანის გუბერნიაში, რომლის სივრცეზედაც თამამად მოთავსდება დასავლეთ ევროპის ორი სახელმწიფო, მხოლოდ 12 კოოპერატიული საზოგადოებაა.

დღეს რუსეთში ყველაზე უდიდესად ზაპაიკალის საზოგადოება ითვლება. მას ჰყავს 18,361 წევრი, აქვს 804,384 მან. სპეციალური თანხა და წლის განმავლობაში „ალებ-მიცემის" რაოდენობა 2,581,549 მან. უდრის.- -

შემდეგი ადგილი უჭირავს პერმის საზოგადოებას. მას ჰყავს 6.414 წევრი, აქვს 406,549 მან. თანხა, წელიწადში ამუშავებს 2,516,630 მან.

მესამე ადგილი ეკუთვნის ეკატერინოსლავის საზოგადოებას. იგი ამუშავებს წელიწადში მილიონ ნახევარზე მეტს.

თითო მილიონის წლიური ალებ-მიცემობა აქვთ მოსკოვ-ყაზანის, კავკავ-რიაზანის და ურალსკ-კოზლოვის საზოგადოებას. ხოლო კიევ-ვორონეჟისას—668 ათასისა.

ამრიგად, მხოლოდ ჩამოთვლილი საზოგადოებანი არიან თვალსაჩინოდ ძლიერნი და ღონიერნი; დანარჩენ საზოგადოებათა უმრავლესობა თუმცა გაცილებით სუსტნი არიან, მაგრამ ყველა ისინი ჯერ ახალი, ნორჩი, გაუფურჩქვნელი ყვავილებია და მათი ზრდა-განვითარება ბუნებრივის ნაბიჯით წინ მიდის.

ოთხი ათასი კოოპერატიული დაწესებულება საკმაოდ საპატიო რიცხვად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ თუ რუსეთის უსაზღვრო სივრცე-სიგანეს გადავხედავთ და ამისდაკვალად დასავლეთ ევროპის კოოპერატიულ ზრდას შევადარებთ—ეს საპატიო რიცხვი, საკმაო მცირე რიცხვად გვეჩვენება.

ინგლისს—სადაც კოოპერაციის განვითარებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია—„ერთ მუჭა ადგილზე"—რუსეთთან შედარებით—1428 ასეთი მომხმარებელი საზოგადოება აქვს, და მათ შორის მხოლოდ მცირედ რიცხვს არ ძალუძს ჯერ კიდევ მილიონის გადაბრუნება, უმეტესი ნაწილი კი წლის განმავლობაში რამოდენიმე მილიონს ატრიალებს.

ავსტრიაში ითვლება 1337 საზ., ბელგიაში—199 უნგრეთში—992. გერმანიაში—1,109. ჰოლანდიაში—183. დანიაში—1,300. იტალიაში—1764. ნორვეგიაში—350. ფინლანდიაში—512. საფრანგეთში—2,716. შვეციაში 431. შვეიცარიაში—500. და საერთოდ მთელს ევროპაში დღეს ირიცხება 16,000-ზე მეტი საკოოპერაციო დაწესებულება.

ამგვარი ორგანიზაციები—ყველა ქვეყნებში უკავშირდება ერთმანეთს, საქონლის საერთო ყიდვაში ან გაცვლა-გამოცვლაში. უკეთეს შემთხვევაში თვითვე აწყობს ქარხნებს, სახელოსნოებს, თვითვე ამზადებს საქონელს და თვითვე ჰყიდის ეს არის ახალი და მასთან ძლიერი ფორმა ეკონომიურ ორგანიზაციისა, რომელიც ევროპასთან ერთად რუსეთშიც თანდათან მტკიცედ და გაბედულად იკიდებს ფეხს..

**ჯაფარ-ფაშა.**

## მუხამბაზი.

რათ დავღონდები
შენი ტრფიალი,
თუნდ მასვან შხამით
სავსე ფიალი.—

—

გთხოვ, მფინო შუქი
სინათლიანი,
რომ გავიკვლიოთ
გზა ეკლიანი.

—

გამომიბრწყინდი,
მნათო გულისა,
აღმადგენელო
სიხარულისა.

—

შენი ვარ მარად,
შენი ჭირიმე,
შენთან აღზრდილი,
შენთვის ვსტირი მე.

—

თუ მეგულები
სიცოცხლიანი,
სრულ კმაყოფილი
და ბედ სვიანი,

—

შენს მტერს გავაქრობ,
მივცე ზიანი
დღე დაუბნელო
ნათელ-მზიანი.

—

რათ დავღონდები!
შენი ტრფიალი,
თუნდ მასვან შხამით
სავსე ფიალი.

**ნინო ორბელიანი.**

## სიღნაღის წვრილ ხელოსანთა საკრედიტო ამხანაგობა

ჩვენი, ყველაფრით უკან ჩამორჩენილ, სიღნაღიც, ღირსა საკრედიტო ამხანაგობის დაარსებას. ჩვენ სხვა, გარეშე პირმა თუ არ მოგვაქცია ყურადღება და არ იზრუნა ჩვენთვის, ისე არავინ აიტკიებს თავს. აქაური ინტელიგენცია მარტო თავის ჯიბეში ჩაფურებულია, იმისთვის ზრუნავს და სხვა იმის გარდა თუ გინდ წყალსაც წაუღია. სიღნაღის მაზრის ზოგ სოფლებში ბ. ჯორჯაძის მეცადინეობით კარგა ხანია არსებობენ წვრილი საკრედიტო ამხანაგობანი, მაგრამ სიღნაღი დღევანდლამდე ამასაც მოკლებული იყო. აბა ვინ რას ინაღვლიდა, რომ აქაური უღარიბესი ნაწილი ჩარჩ-მევახშეების ხელში სულსა ლაფავდა. თვით ქალაქის თავსაც არ ეჰაშნიკება ეს რაღაც ამხანაგობაა. მაშ რა უყონ ფულებს თუ ერთი-ორად არ გაასესხონ?!

კიდევ ასე დავრჩებოდით თუ ბ-ნ კ. ტ. არ მოეწყო ჩვენი საქმე. მისი მეცადინეობით სიღნაღში გაიხსნა წვრილ ხელოსანთა საკრედიტო ამხანაგობა. 21 მარიამობისთვეს გვეწვია საკ. ამხ. გამგე ბ. ვიფორსი, შეიკრიბნენ წევრნი, რომელთაც[?] გააცნო ბ. ვიფორსმა წესდება. შემდეგ ქართულად აუხსნა ბ. ჯორჯაძემ მიზანი და მოვალეობა წევრებს. ამხანაგობის საწარმოვო თანხად მიეცა 1000 მანეთი და დაჰპირდა ბ. ვიფორსი, თუ საქმე კარგად წავიდა, კიდევ მოგცემთ 3000 მანეთსაო.

ბლომად დაესწრნენ წევრები. შემდეგ მოხდა არჩევნები. გამგეობაში აირჩიეს: 1) ჯაფარიძე (ნოტარიუსი), 2. ივ. შავლიშვილი, 3. ივ. ყავრიშვილი. მათ თანაშემწედ: 1. ნიკა ბარამიშვილი, 2. ნ. გოგოლაშვილი.

სარევიზიო კომისიაში აირჩიეს: 1. კნ. მ. ანდრონიკაშვილი, 2. იოს. კრაწაშვილი. მათ თანაშემწედ გ. ბეჟაშვილი.

თითქმის ყველა არჩეული პირი ხელოსნები არ არიან, მაგრამ მათ ნდობით შეხედეს ხელოსნებმა და თავიანთ ახლად დაარსებულ საქმეს ზემოხსენებულნი პირნი ჩააყენეს სათავეში. იმედია ესენიც იმედს არ გაუცრუებენ და, რაკი საქმეს სათავეში ჩაუდგნენ, კარგად წაიყვანენ. მოხოვნელი ბევრია წევრობისათვის და ამით უნდა ისარგებლოს გამგეობამ რომ ამხანაგობის საქმე გააფართოვოს.

აქვე დაარსდება ამ მოკლე ხანში ბ. ჯორჯაძის თაოსნობით „სიღნაღის წვრილ ვაჭართა საკრედიტო ამხანაგობა".

**ოთხები.**

## პატარა ფელეტონი

### ის

(კ. ფოფანაძისა).

ის დიდი ხანია მატყვევებდა, მხიბლავდა. როცა კი გავივლიდი იმ სახლის ფანჯრის წინ, სადაც ის გამუდმებით იდგა, უნებლიედ შევჩერდებოდი, ვუცქეროდი და ვსტკბებოდი.

ოჰ, ნეტა იმას, ვინც მას დაისაკუთრებს, „ჩემიაო" იტყვის, ვფიქრობდი გულში, ყოველ თვის ოცში სამსახურში რომ გავივლიდი, განსაკუთრებულის სიამით, განსაკუთრებულ ესთეტიური გრძნობით შევჩერდებოდი იმ ფანჯრის წინ და მას თვალითა ვჭამდი.

---

ვნივ თვალგაუწვდენელი საუკეთესო ვენახებია. ვაზები თვალუწვდენელ სიგანეზე მწყობრად ჩამწკრივებულა და ღონიერ სარებს ჩახვევია. მთელ ამოდენა ვენახს მაღალი გალავანი აქვს შემოვლებული. გალავანს გზის მხარეს შიგა და შიგ ვეებერთელა პისკარებები აქვს დატანებული. გიკვირთ, ნუ თუ ეს ამოდენა თვალუწვდენელი ვენახი ერთს კაცს ეკუთნისო? პასუხად მიიღებ—ეს ვენახები გერმანელების არისო.

გზაც საუცხოვო ხდება. გზის ორივე მხარეზე ლარივით ჩამწკრივებულა დიდრონი ხეები, გადაუხლართიათ ერთმანეთში ტოტები და გზას ჩრდილავენ. ახალშენამდე სულ ჩრდილში მისდიხართ და მადლობას უთვლით მათს დამრგველთ. ეს ხეები ახალშენის მკვიდრთა დარგულია. მეცენარეულობა გერმანელებს საზოგადოდ ძალიან უყვართ: ყველა ახალშენის ქუჩები და მისავალი გზა ხეივანსა ჰგავს.

მისავალ გზაზე ამ რიგათა რგავენ გერმანელები ხეებს: გაზომავენ გზას, სადაც ხეების დარგვა უნდათ, კენჭის ყრით ინაწილებენ თავიანთ შორის; ვისაც რა ნაწილი შეჰხვდება, მოვალეა თავის ნაწილზე ხეები დარგოს, მორწყას, მოუაროს. თუ ხე დაბერდა, გახმა, ან ქარმა მოტეხა, იგივე გერმანელი ან მისი ჩამომავლობა მოვალეა ახალი ხე ჩარგოს. ეხლა გერმანელებსა ჰსურთ, ახალშენთან მისავალ გზაზე იმისთანა ხეები დარგონ, რომელნიც სარგებლობასაც მოუტანთ. იმათა სურთ მთელ მისასვლელში, ოთხი ვერსის მანძილზე კაკლის ხეები ჩაჰყარონ. როცა კაკალი შემოვა, დარაჯს დაუყენებენ, რომ არავინ არ მოიპაროს. კაკალს დაბღერტამენ, გაჰყიდიან და ფულს რომელიმე სასოფლო საქმეს მოახმარებენ, მაგ. საავადმყოფოს. შეიძლება ზეთის სახდელი ქარხანაც გამართონ. ამ გვარად გზაზე ჩამწკრივებული ხეები ორ ნაირ სარგებლობას მოიტანს, ჩრდილსაც დააყენებს და ნაყოფსაც მისცემს.

თქვენ ჩახვედით ელენენდორფში. გაკვირვებაში მოსდიხართ იმ სისუფთავით, რომელიც იქ არსებობს. ვერ ნახავთ ორღო-ჩორღო, მიკიბულ-მოკიბულ, ნაგვით სავსე ქუჩებს, მთვრალი ხალხით სავსე სამიკიტნოებს, ნახევრად დანგრეულ სახლებს, ბინძურის ეზოთი. ყველაფერს იმის დაღი აზის, რომ იქ კულტუროსანი, გამჭრიახი, შრომის მოყვარე ხალხი სცხოვრობს. სუფთა, ლარივით სწორე, განიერი ქუჩები, ქუჩის პირას წამომდგარი ლამაზი სახლები, სუფთა, განიერი ტროტუარები, ქუჩის ორივე მხარეს ვიწრო არხები, რომლებშიაც საამურად მოჩხრიალებს წყალი, ქუჩის ორივე მხარეს ჩამწკრივებული ზეცამდის ამართულნი ალვის ხეები. აი, ის სანახაობა, რაც პირველადვე თქვენს ყურადღებას იპყრობს.

სოფლის შუა-გულში დიდი მოედანია. ყველა ქუჩები აქ იყრიან თავს. ამ მოედნის გარშემო შენობები სულ სასოფლო, საზოგადოა. ერთ მხარეზე არის ეკლესია და სკოლა, მეორეზე—სოფლის სამმართველო, იქვე სოფლის საამხანაგო დუქანი, მეორე საამხანაგო საყასბო; იმის გასწვრივ ღვინის გამყიდველთა საამხანაგო სადგომი. მოედანსაც გარშემო ხეები აქვს შემორგული.

სახლები სრულებით არა ჰგვანან ჩვენებურ სახლებს. ეს სახლები მკვიდრია და ლამაზი; სახურავი ძალიან აწოწილი აქვთ და ისე დაქანებული, რომ ზედ ერთ წვეთ წყალსაც არ შეუძლიან გაჩერება. გერმანელის სუფთა ეზოში ვერა ნახავთ ვერც სასიმინდეს, ვერც მარანს, ვერც ბეღელს, ვერც სამზარეულოს, ვერც საკუჭნაოს: ყველა ეს ერთად თავმოყრილია სადგომ შენობაში. გერმანელების სადგომის ქვეშ მიწაში ამოთხრილია სარდაფი, სარდაფის თავი თაღებით არის გადაყვანილი. სარდაფში გერმანელები ღვინოს ბოჭკებით ინახავენ ეს არის იმათი მარანი. სარდაფის ზემოდან თითონ გერმანელების სადგომია. სადგომი უმეტეს ნაწილად სამის ოთახისაგან და სამზარეულოსაგან შესდგება. სადგომის ზევით სხვენია. სხვენი ძალიან მაღალია და რამდენიმე ნაწილად დაყოფილი. სხვენში გერმანელები ინახავენ პურს, ქერს, ხილს, სიმინდსა და საზოგადოდ ყოველივე სანოვაგეს.

ამგვარად ერთსა და იმავეში შენობაში გერმანელი თითონაც სდგას და თავის ჭირნახულსაც ინახავს, რაიც მართლა და ცოტა ალაგს იჭერს.

გერმანელებს ეზოები პატარა აქვთ. ეზოს გალავანი აქვს შემოვლებული. ეზოში, სახლზე მოშორებით, თავლაა, სადაც ძროხები და ცხენები ჰყავთ. თითო ოჯახს ორი-სამი ძროხა მაინცა ჰყავს, როგორც საწველად, ისე სასუქის გულისათვის.

გერმანელს სამი ოთახი აქვს. ერთი სასადილო, ერთი საძილო, ერთიც სასტუმრო. სასტუმრო უბრალოდ, მაგრამ გემოვნურად არის მორთული. სელის სკამები, მაგიდა, საწიგნე წიგნებით, ტახტი მუთაქებით, კედელზე და ძირს იატაკზედ ხალიჩები, კუთხეში ფისგარმონია ან პიანინო *), კედლებზე ჩარჩოიანი სურათები, ან სახარებიდან ამოღებული ვარაყით ნაწერი სიტყვები,—აი მთელი მოწყობილობა სასტუმროსი.

მაგრამ ყველაზე საგულისხმო სამზარეულოა. ჩემის აზრით, ადამიანის კულტუროსნობა სამზარეულოს სისუფთავით უნდა იზომებოდეს. გერმანელების სამზარეულოში წარმოუდგენელი სისუფთავეა. ორი ქვაბის დასადგმელ პატარა „პლიტას", ქვაბს, ხუფებსა და სხვა სამზარეულოს ხელსაწყოს კრიალი გააქვს. სამზარეულო თუმცა პატარაა, მაგრამ ნათელიანი. სისუფთავის გამო სამზარეულოში აბანოს ჭიას ვერ ნახავთ, რომლებიც ჩვენებურ სამზარეულოს მუდმივი სტუმრები არიან.

ასეთი უმაგალითო სისუფთავე გერმანელ ქალების ჩვეულებით აიხსნება. ისინი თუმცა მუდამ დღე უვლიან სახლს და სწმენდენ ავეჯეულობას, მაგრამ კვირაში ერთხელ, შაბათობით, ყველაფერს ისე საფუძვლიანად უვლიან, როგორც ჩვენ ვიცით ხოლმე დიდ უქმეების წინ. ფანჯრებს საპნით რეცხავენ, ფარდაგებს ბლერტავენ, ავეჯეულობიდან მტვერსა სწმენდენ, სამოვარს და სხვა თითბრის ავეჯს სწმენდენ, ეზოებს ჰგვიან, და თქვენ წარმოიდგინეთ, ფილაქანსაც **) კი თბილს წყლითა რეცხავენ. ამისთანა სისუფთავის გამო ახალშენში ბალინჯო ან რწყილი არაჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს. სკოლაში ბავშვებმა არ იციან, თუ ეს მწერები რა არის, არსად არ ენახათ.

ყოველ სახლში სასმელი წყლის მილია გაყვანილი. გერმანელებს სასმელი წყალი რკინის მილებით მოჰყავთ მთიდან, თითქმის ათი ვერსის სიშორიდან. ვენახების სარწყავად კი—მდინარე განჯიდან, ესე სამი ვერსის მანძილიდანაა გამოყვანილი წყლის არხი. აქ მხოლოდ ამ არხის წყლობით გახდა შესაძლებელი მიწის დამუშავება და ვენახების გაშენება. მაგრამ რადგანაც გერმანელებმა ძალიან ბევრი ვენახები გაშენეს, სარწყავარხის წყალი არ ეყოთ, (მოურწყველად აქ არაფერი ხარობს), ამისთვის მოაწყვეს ეგრედ წოდებული „კიარიზი". კიარიზით მორწყვა სპარსეთში იციან, და გერმანელებსაც სპარსელებმა ასწავლეს. კიარიზით მორწყვა ამისთანაა: მთის ძირას მოთხრიან იმ სიღრმე ორმოებს, სანამ ყველა ორმოში წყალი არ გამოჩნდება. შემდეგ ყველა ორმოებს ხვრელებით შეუერთებენ და ამგვარად მოაგროვებენ ბლომა წყალს. შემდეგ ხვრელს გასთხრიან ჯებლობისაკენ. საითაც ვენახებია, ვიდრე ეს წყალი ღელემიწიდან არ გამოვა. ვენახებს ამ წყლით რწყავენ. კიარიზები გამოჰყავთ არა მარტო მთის ძირებიდან, არამედ იმ ფერდობებიდანაც, სადა ვენახებია გაშენებული. როცა ვენახებს არხის წყლით რწყავენ, ბევრი წყალი მიწის ქვეშ იპარება, და კიარიზით. აი ამ წყალს აგროვებენ. ამნაირად გერმანელებს მუქთად ერთი წვეთი წყალიც კი არ ეკარგებათ.

**გ. ბურჭულაძე.**

(დასასრული იქნება).

*) ფისგარმონია და პიანინო საკრავია.

**) ფილაქანი აგურის იატაკია.

ვიცოდი, რომ იმ საღამოს ჩემთან იქნებოდა, ჩვენს წრეს გაამხიარულებდა, გაახალისებდა, რადგანაც ყოველთვის იქ ჩემთან იკრიბებოდნენ ჩემი ამხანაგი—თანამოსამსახურენი.

რა მხიარულად, რა შეუმჩნევლად გადიოდა დრო მასთან ერთად!.. ის ყველას უყვარდა. ზოგი მას ლექსებით ამკობდა .. მე კი იგი ყველაზე ძლიერ მიყვარდა .. მაგრამ მან, უმადურმა, უწყალოდ გადამიხადა ეს გაგიჟებული, გულწრფელი სიყვარული; მან იმდენი ჰქმნა, რომ სამსახურიდან გამომაგდეს, მათხოვრობამდე მიმიყვანა, გამაუბედურა.

მაგრამ მის გულისათვის მაინც ვითმენდი ყველაფერს, ვაგირავებდი ნივთებს, ჩემთვის უსაპიროეს ნივთებს...

და აი როდესაც აღარა გამაჩნიარა, როდესაც უკანასკნელი კალოში გავიტანე სალომბარზე გასასყიდად, მან, მუხთალმა, მიღალატა და უკვე აღარ მიტკბობს თავისუფალ წუთებს, თუმცა ეხლა მთლად თავისუფალი ვარ. აღარ მართობს...

ის კი კვლავინდებურად ყელმოღერებული სდგას დუქნის ფანჯარაში სხვებთან ერთად, ბრწყინვალე, მორთული, ანკარა, ვით ცრემლი...

ჩემი თვალი მუდამ არჩევს და ეალერსება მას... ის—მაღალი, ლამაზია, თითქმის მაღალი და დიდი ყველაზე. წვრილი ყელი საცობთან ისევ განიერდება... მასში სდგას სითხე ისეთი გემრიელი, მწვავე, ცხარი.. **სან-გარი-ძე.**

# მოწერილი ამბები

**ს. შილდაური (თელავის მაზრა).** არა ერთხელ მქონდა დაწერილი, წყაროს გამოყვანის თაობაზე, რომელიც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ჩვენი სოფლისათვის, სოფლის უფროსი მეტისმეტი დიდის სიხარულით ეკიდება ამ საქმეს, სოფლის უფროსებიც სულ „ჩქარ" გაიძახიან და არ კი აბოლოებენ საქმეს. მართალია ზოგი ამბობს: ჯერ ძილი მერე სიზმარიო, ფული არ არის საქმეს სადამ უნდა უწინამძღვროთ, მაგრამ, თუ მოინდომებენ, იშოვიან, საჭირო თანხის ნახევარს სულ რამდენიმე შინი გადაიხდის ისე როგორც ზედმეტს ხვდება გადასახადისას და ნახევარიც ადვილად მოიკრიბება სოფელში, რადგანაც წყაროს საერთოდ საჭიროებას შეადგენს.

მიუხედავად იმისა რომ ჩვენ ახლოს ვართ სამაზრო ქალაქ თელავზე, სადაც ადვილად შეუძლიან ბავშვს იაროს თელავის რომელიმე სასწავლებელში, აქ ერთი კაციც არ მოიძებნება, რომელსაც შეეძლოს სახელისა და გვარის სწორად მოწერა. მოხუცთვის წერილი რომ მიიღონ, მამასახლისთან მირბენინებენ წასაკითხად. მღვდელი რომ იყოს, იმასაც მიმართავენ, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ვერ იშოვის. რადგანაც ჩვენი მოძღვარი სამხოფლობადე თავის სამწყსოთ სოფლებში, რომელიც რამდენიმე ვერსით დაშორებულია ჩვენგან. ჩვენს სოფელში მხოლოდ დიდმარხვაში და აგრეთვე ხანდახან კვირა-უქმე დღითაც მოდის, როდესაც ოჯახშიაც საქმე აქვს, შვილს მოკრეფის დროსაც ხშირადა ვხედავთ. **შილდაურელი.**

**სოფელი ხუნწი (სენაკის მაზრა).** ეს სოფელი სამ ნაწილად იყოფება: ზედახუნწი, ქვედა ხუნწი და გადმახუნწი (მდ. ნოღელას გაღმა). მცხოვრებნი მთავარიანები. ნიადაგი ისეთი მწირია, რომ მცხოვრებთა უმეტესობას, რომელთა რიცხვი სამას კომლამდე, წლის საზრდოთ ვერ მოჰყავს განსაკუთრებით ზედა ხუნწს და გადმა ხუნწში, ღვინის სიმწირე კიდევ არაფერია, რომ მუშის თავის ნამუშევრის უმეტესობა მაინც მოჰქონდეს აქ, თუ სახაზინოდ არა, ისე მიწას ვერაფერ იშოვის. ოდესღაც იყო, სამუშაოდაც ადვილად აძლევდნენ, მაგრამ ის დიდებული დრო გაქრა.. აი რა არის უმთავრესი მიზეზი ჩვენი სოფლის სიღარიბისა. ეს კიდევ არაფერია, რომ „ხვას ვეცეი" არ გვატკბობს... გაიარეთ ქვედა ხუნწის მთავარი ქუჩა და თქვენ თითქმის უთვალ ეზოში ხალხის გროვას დაინახავთ. არ გეგონოთ რომ რაიმე სერიოზულ საქმისათვის შეკრებილიყვნენ, არა, ბანქოსა და ნარდის თამაშში ატარებენ დღეებს. საამისო ადგილად შ. მონიავას დუქანია, სადაც თავს იყრიან უფრო დახელოვნებულნი.

ამ სენს ქურდობაც ზედ ერთვის ჭირი ისე არ გაივლის, რომ ვისმე საქონელი არ მოპარონ. ქურდები კი ისევ ამ სოფლიდან არიან. ამაში ყველა დარწმუნებულია, თითქმის ბევრმა ცხოვრება თავისმა იცის, ვინ არის ქურდი, მთავრობასაც ბევრჯელ მიუთითეს ამათზე, მაგრამ ისინი მაინც დათარეშობენ... ვისი ეშინიათ? რომ ვინმემ პირველად სთქვას რაიმე, თუ რამე ჭკუას უსათუოდ მოჰპარავენ.

ბატონი კი ბევრი ჰყავს სოფელს. „შომოშნიკები" და ისაულები რომ ბატონობენ, სხვები რას იზამენ. რამდენიმე მაგალითი იყო ისეთი, რომ „შომოშნიკმა" კაცი გალახა ტყუილუბრალოდ (ზ. ხ.). ისაულის სიტყვას ვერავინ უბედავს, მაშინვე ჯარიმა, სახლში შევარდნა და ნივთების გამოტანა.

ეხლა კულტურულ დაწესებულებებისას. მოგახსენებთ. საუბედუროთ უნდა ვსთქვა, რომ; ცნებანი „ხუნწი" და „კულტურული დაწესებულება" ერთმანეთს სრულებით ვერ იცნობენ. სამკითხველოს აქ რა უნდა, ის კი არა აშჯერ უფრო განათლებულია მეზობელი სოფელი მათხოჯი და იქაც ორი წლიწადია მარტო ცარიელი შენობა-და გამოიყურება თბილადებით... ან რა საჭიროა: გაზეთებისაგან ღმერთმა დაიფაროს ხუნწელები!..

სამაგიეროდ აქ ორი სამრევლო სკოლაა, ერთი ზედა ხუნწში და მეორე—ქვედაში.. მადლობა ღმერთს, ეს მაინც ჰქონიათ ხუნწელებსო,—იტყვის მკითხველი, მაგრამ გული ნუ დაგწყდებათ და ერთი მათგანის (ქვედა ხუნწისის) ყოფნას არ ყოფნა სჯობია. რატომ? დავიწყოთ შენობიდან. სკოლა აშენებულია „ტიალ მინდორში", საკლასო მაგიდები ხომ სახსენებელი არ არის. ჯერ ერთი არავითარ გიგიენურ მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებს, მეორეც ფეხი ერთსაც არ აქვს. ერთი სიტყვით—დამტვრეულია. ფანჯრებს მინები მგონი ჯერ არ უნახავთ. ერთი კედელი განგრეულია და სხვა.., ეხლა მასწავლებელს არ იკითხავთ! მასწავლებელი, იგივე დიაკონი. სკოლაში წაბრძანდება ათ საათზე და სკოლიდან წამობრძანდება თორმეტზე სოფლელებმა რომ ამას ყურადღება არ მიაქციონ, გასაკვირველი არ არის, მაგრამ სამრევლო სკოლების ზედამხედველს,—კი არ ეპატიება. იქნება მას ეს არ შეუმჩნევია? რაც შეეხება მეორე მასწავლებელს (ზ. ხ.) იმას კიდევ არაფერი უჭირს, რომ მასწავლებელი ბავშვების ცემას თავს დაანებებდეს... ისე კი თან და თან სუსტდება, უწინ უფრო კარგად იყო დაყენებული. **მოკეთე.**

**ს. ღორეში (შორაპნის მაზრა).** ამ ენკენისთვეს ბელაგორიდან მომავალ გლეხს ნიკოლოზ წიქარიშვილს გზაში დაღამებია და სიბნელისა გამო გზას გადასცდენია ს. საბეში (ბელაგორის რაიონი) და გადავარდნილა 15 საჟენის სიმაღლე კლდეზე. მშველელი არავინ გამოჩენილა და იქ ნაშუადღევის 3-საათამდე დარჩენილა. სამის საათის შემდეგ იმ კაცის გადავარდნა უგრძნია მახლობლად მოსახლე ევნატე გლუნჩაძის ძაღლს და ყეფა დაუწყია კლდის თავიდან. ძაღლის ყეფისაგან ევნატეს გამოუღვიძებია. ამდგარა, ნახუ ცეცხი ტანსაცმელი, მისულა იმ ადგილას, ძაღლი გაუშვერებია, ცოტა ხნის შემდეგ კლდის ძირიდან კვნესა შემოესმის. აუტეხია ყვირილი, გამოქცეულან მეზობლები, ნასულან ძირს, უნახავთ კაცი, მაგრამ ვერ ეცნიათ ენისგარდნილის ვერაფერი უთქვამს წყალით ძლივს მოუბრუნებიათ, იგი წუთის შემდეგ ენა ამოუდგამს და უთქვამს. ნასადილარი ვარ სამხედრო უფროსმა დამიბარა ბელაგორში ბილეთის შესამოწმებლადო, გზას გადავცდი და გადმოვვარდიო. თავ-პირი, ფეხები და ტანი მთლად დაჟეჟილი აქვს და გასიებული, ცალი ხელი მოტეხილი. **ივლიანე ბარბაქაძე.**

# სტოლიპინის მოკვლის გამო

**ბაგროვის დასჯა.**

ბაგროვის წასაყვანად რომ მივიდნენ, ეძინა. გააღვიძეს, ბაგროვი მიხვდა რისთვისაც და საჩქაროდ ტანთ ჩაიცვა. ხელები გაუკრეს. ბაგროვმა ითხოვა, შარვალი კარგად შემიკარითო. საკანში ბაგროვს ამის მეტი არაფერი უთქვამს. დიდის სიფრთხილით და მცველთა რაზმით წაიყვანეს იგი „ლისაია გორა"-ზე, კიევის ახლოს. დამსწრეთა შორის 30 „ჭეშმარიტ რუსი" და „ნოვოე ვრემიას" თანამშრომელი სავენკოც იყვნენ.

დასჯის ადგილას რომ მიიყვანეს, ერთმა აფიცერმა ბაგროვს სახეში ელექტრონის ფანარი მიანათა: ჩვეულებრივი სახეა, განსაკუთრებული არაფერია,—წამოსთქვა ბაგროვმა „ჭეშმარიტნი რუსნი" ბაგროვის ფრაკს დასცინოდნენ. ბაგროვმა სთქვა:

— შეიძლება სხვა დროს ამხანაგვექილებს კიდეც შეშურებოდათ, რომ მეცხრე დღეა ფრაკი არ გამიხდია.

სამართლის მდივნის თანაშემწემ განაჩენი წაუკითხა.

— იქნებ სათქმელი გაქვთ რამე? ჰკითხა ბრალმდებლის ამხანაგმა.

— კი, მაქვს. მხოლოდ პოლიციელებთან არ შემიძლიან.

— სხვაფრივ შეუძლებელია,—უპასუხა ბრალმდებლის თანაშემწემ.

— თუ შეუძლებელია, რაღას უცდით, საქმეს შეუდექით—უპასუხა ბაგროვმა.

ბაგროვს ჯალათი მიუახლოვდა. სუდარა გადააფარა. იგი უხერხულად ჩააცვეს და ბაგროვმა იკითხა: „თავი ავიწიოო," ყულფში თავი გააყოფინეს. ბაგროვი თვითონ ავიდა სკამზე. ჯალათმა სკამი გამოაცალა. კანონის ძალით გვამი 15 წუთს უნდა ეკიდოს. სიჩუმე ჩამოვარდა. ვილაცამ სთქვა: „ეხლა სროლას აღარ დაიწყებს!", „რა დროს მაგის ლაპარაკია!" უპასუხა ვილაცამ.

ჯალათმა გვამი ჩამოიღო, ექიმმა სთქვა, მკვდარიაო. გვამი იქვე ამოთხრილ ორმოში ჩააგდეს, ზეიდან ფიცრები დააფარეს და მიწა მიაყარეს.

**ბაგროვის ჩვენება.**

როდესაც ბაგროვმა შეიტყო სამხედრო-საველე სასამართლოს გადამცესო, შემდეგი ჩვენება მისცა:

რევოლიუციონერებმა დამცველ პოლიციაში სამსახური შემიტყეს. მითხრეს, ტერორისტული აქტის მოხდენით იმართლე თავიო. ბაგროვმა თურმე, კულიაბკოს მოკვლა გადასწყვიტა. იგი რამდენჯერ აპირებდა განზრახვის ასრულებას, მაგრამ ვერ მიახერხა. ბაგროვს ხელს უშლიდა კულიაბკო. ბაგროვი ერთხელ კულიაბკოსთან მისულა და იგი სახან წამოსხმული საცვლებით გამოჰგებებია. „საზიზღარი საჟანდარმო მუნდერი რომ სცმოდა" მოვკლავდი, მაგრამ მაშინ შემეცოდა, ვერ გავბედეო",—სთქვა, თურმე, ბაგროვმა. თეატრში მინდოდა კულიაბკოს მოკვლა. იგი მხიარულად და სიცილით მომეგება. მითხრა, ტერორისტი არ გამეპაროს, კარგად უთვალთვალეო. გიჟივით გავბრუნდი და პარტერისაკენ გავწიე, ვინც შემხვდება, ვესვრი მეთქი. ამ დროს—სტოლიპინი დამხვდა, თითქოს ჩემს ტყვიას გულს განგებ უშვერდა და თავზა არეულმა სროლა დავიწყეო.

ბოლოს სთქვა, სტოლიპინის მოკვლა ჩემი პირადი თაოსნობაა, მოზიარე არავინა მყოლიაო.

# იტალია-ოსმალეთის უთანხმოება

**დ ე პ ე შ ე ბ ი.**

**სტამბოლი.** იტალიის ულტიმატუმი ხუთშაბათს დილით, ელჩების ჩვეულებრივ მიღებისას ჩაბარეს დიდ ვეზირს. ნოტის მიღებისთანავე ვეზირმა დიპლომატები ინახულა, მერე სასახლეში შევიდა, სადაც ვეზირთა და სენატის პრეზიდენტთა მონაწილეობით საჩქარო თათბირი გაიმართა.

ქალაქში მყოფ დეპუტატთა და სენატორთა თათბირმა გადასწყვიტა პარლამენტის მოწვევა ვითხოვოთო. ბრძანება გასცეს, საბერძნეთის საზღვარზე ჯარი გააძლიერეთ, რადგან ბერძენთა ჯარის გაძლიერების ამბავი მოვიდა აქაო. ოსმალეთის ფლოტს სტამბოლს დაბრუნება უბრძანა.

დიდი აღელვებაა, განსაკუთრებით ოფიცერთა შორის. პარასკევს ხალხი მეჩეთებში მოიყრის თავს. არეულობისა ეშინიათ.

**ტრიპოლი.** ათის გემისაგან შემდგარი ესკადრა შეამჩნიეს. მკვიდრნი მშვიდად არიან.

**რომი.** „სტეფანის სააგენტოს" ტრიპოლიდან ატყობინებენ, იტალიის ახალშენთა მცხოვრებნი მთლად გემებზე გადავიდნენ. ქალაქში იტალიელი მოხელენი და ზოგიერთი მოქალაქე დარჩნენ, რომელნიც იტალიის საელჩოში არიან. ვაჭრობა მინელდა.

**რომი.** პრესას მთავრობის ნოტა მოსწონს. „ტრიბუნა" ამბობს, იტალიას ოკუპაცია არ უნდოდა, მაგრამ მდგომარეობამ აიძულაო.

**სტამბოლი.** პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს გაუგია, იტალია ტრიპოლის საკითხს ხმელთაშუა ზღვაზე დაინტერესებულ სახელმწიფოთა კომპეტენციადა სთვლის და იმედიცა აქვს, ეს საკითხი აღმოსავლეთის საკითხს არ გაამწვავებსო.

**ბერლინი.** ოსმალეთის ელჩმა კიდერლენ-ვეხტერი ინახულა. ამბობენ, ულტიმატუმის ჩაბარება ოსმალეთისთვის მოულოდნელი იყო. პრესა იტალიის მოქმედებას ენერგიულად ჰგმობს. მხოლოდ ერთი გაზეთი ურჩევს ოსმალეთს, ტრიპოლისზე ხელი აიღე და მის გულისათვის ომს ნუ დაიწყებო.

**ლონდონი.** ცნობა მივიღეთ, ტრიპოლისს იტალიის 12 სამხედრო გემი მოვიდაო.

**ჰამბურგი.** გერმანიის ამხანაგობა ტრიპოლისს გასაგზავნ ბარგს აღარ ღებულობს.

**სტამბოლი.** ოსმალეთმა იტალიას პასუხი გაუგზავნა. იგი მოლაპარაკების სურვილს აცხადებს, თუმცა მიწა-წყალს კი ვერ დაუთმობო.

**რომი.** „ერთობისა და პროგრესის" კრებამ ვაჭართა წარმომადგენლებთან ერთად გადასწყვიტა: იტალიის საქონელს ბოიკოტს ჯერ ნუ გამოუცხადებთო.

**რომი.** „სტეფანის" სიტყვით, იტალიის მთავრობამ გადასწყვიტა, ტრიპოლისს და კირენაკში მყოფ იტალიელთა დასაცავად ყოველი ზომა მიიღოს.

**სტამბოლი.** ოტტომანთა სააგენ. აცხადებს იტალიის საეკონომიო ინტერესებს ვღიარებთ, მაგრამ ოკუპაციას ვერ მოვითმენთ და იტალიის ლოილობს ვითხოვთ—ხაზპოს კრება ღამის 2 საათზე სასახლეში მოხდა.

**რომი.** ოსმალეთის მთავრობამ იტალიის ულტიმატუმი არ მიიღო; იტალია და ოსმალეთი $2^1/_2$ საათიდან მეომარ მხარედ ითვლება. ტრიპოლის და კირენაიკის ალყის შემოკვრას ყველა სახელმწიფოებს შეატყობინებენ.

**გაზეთებიდან.**

„ბერლინერ ტაგებლ." ირწმუნება, ოსმალეთი გერმანიის დიპლომატიას არ უნდა მიენდოს, იგი თვალთმაქცობს, ორპირობს; იტალიის განზრახვა იმან აგადირს გემის გაგზავნამდე იცოდაო.

ამავე გაზეთს სტამბოლიდან ატყობინებენ: ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტი „ერთობა და პროგრესი" გერმანიის მხრივ გულნატკენია. ყველა ჰფიქრობს, იტალიის განზრახვა ბერლინში იცოდნენო.

**საფრანგეთის აზრი.**

„Eclair"-ი ამბობს, იტალიისა და ოსმალეთის უთანხმოებას მაროკოს საქმესთან კავშირი აქვსო; დელკასემ ესპანიასთან ხელშეკრულება დასდვა, იტალიას კი ტრიპოლი აღუთქვაო.

**რუსეთის აზრი.**

პეტერბურგიდან ერთს გერმანულს გაზეთს დეპეშით ატყობინებენ: იტალიის ელჩმა რუსეთის მთავრობას გააცნო შეხედულება ტრიპოლის საკითხზე. რუსეთის მთავრობამ უპასუხა, ტრიპოლში იტალიის საეკონომიო ინტერესების განსაკუთრებულ არსებობას ვაღიარებო.

**ავსტრიის აზრი.**

უმაღლეს წრეებთან დაახლოვებული გაზეთი „ფატერლანდი" სწერს: იტალია გულუბრყვილოდ ნუ დაიწყებს ფიქრს და ავსტრიის დახმარებას ნუ ელის. მაროკოს საკითხში იგი საფრანგეთის მომხრე იყო და ავსტრიას საბუთი არა აქვს იტალიას დაეხმაროსო.

როგორც ეხლა „რუსკოე სლოვოს" კორესპონდენტს გაუგია, ავსტრია ასეთ პრინციპს აღიარებს: „არც იტალიის წინააღმდეგ, არც—ოსმალეთისა".

# მაროკოს საქმე

**გ ა ზ ე თ ე ბ ი დ ა ნ**

**პარიზს** ერთს ჰკვრთდრომზე, სოციალისტებისა და კონფედერაციის მოწოდებით, ომის საწინააღმდეგო კრება გაიმართა, რომელსაც 60,000 კაცი დაესწრო.

აქა-იქ დროშები მოსჩანდა ზედ წარწერით: „ომი—ომის წინააღმდეგ", „ომი—სიკვდილია, სიმშილის", მშრომელნი აცხადებენ, მათ დაუკითხავად ომის დაწყება არ შეიძლება" და სხვა.

ჰკვრთდრომს პოლიცია და ჯარი შემოერტყა. ხალხზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დეპუტატის მარსელ სამბას სიტყვამ: „ფულების მქონენი ომის შიშმა აიტანათ, — სთქვა მან. საფრანგეთი და გერმანია უთანხმოების მოსპობას სცდილობენ. სხვა ომის მოლოდინით ცა მაინც ბნელდება. ამ ადგილას, ამ მაღლობზე, სადაც ჩვენა ვდგავართ, 1871 წელს კომმუნა გამოაცხადეს. თუ ომი დაიწყო, მის წინააღმდეგ მთელი ევროპის პროლეტარიატი გაილაშქრებს. კრებაზე წესიერება არ დარღვეულა.

ამავე დროს ამნაირივე კრება გაიმართა ტულუზისა, ამიენსა, მომპელიესა, ს. ეტიენსა და ზოგიერთ სხვა ქალაქში.

**კაიოს სიტყვა.**

კაიომ აღანსონში ოფიცრებს ასე მიჰმართა: „დარწმუნებული ვარ, ჩვენი მხედრობა მამულიშვილურ მოვალეობის აღსასრულებლად მზად არის, ჩვენს მამულს მშვიდობიანობა სწყურიან, მაგრამ თავისუფლებისა და ღირსების დასაცავადაც მზად არის."

**მოლაპარაკება.**

ოფიციალურად ცნობილია, რომ მაროკოს თაობაზე ხელშეკრულება მზად არის, დამტკიცებაღა აკლიათ. პრესა დატკბული მიეგება ამ განცხადებას და იმედი გამოსთქვა: კონგოს საკითხი საქმეს არ გაართულებსო.

# ბიბლიოგრაფია

„ელისო", ა. ყაზბეგის მოთხრობა, საყმაწვილო წიგნი N 7, გამოცემა „საყმაწვილო წიგნების გამომცემელთა წრისა". ფასი ორი შაური. ქუთაისი, 1909 წ.

სრულიად შემთხვევით ჩამივარდა ხელში ეს გამოცემა და პირველად ძალიან მესიამოვნა. ჩვენი საუკეთესო მწერლების ნაწარმოებთა გამოცემა ცალკე წიგნებად იმდენად სუსტადაა განვითარებული, რომ ყოველი ცდა ამ საქმეში სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ პირველი ფურცლის წაკითხვის შემდეგვე დავრწმუნდი, რომ სასტიკად შევცდარვარ. ყაზბეგის „ელისოს" ნაცვლად ხელში მეჭირა დამახინჯებული, გადაგვარებული „ელისო", ვილაცის ნაცოდვილარი. „ელისო", რომელიც ისევე ჰგავდა ორიგინალს, როგორც მე ჩინეთის იმპერატორს. ამოწერილი მაგალითებით არ დავღლავ მკითხველს, რომელიც თითონაც კარგად მიჰხვდება, რანაირადაც არის შეცვლილი ეს ნაწარმოები, წიგნის ბოლოში მოქცეულ პატარა შენიშვნიდან. აი, რასა ვკითხულობთ ამ შენიშვნაში: „საყმაწვილო წიგნების გამომცემელი წრე" საჭიროდ სთვლის მკითხველებს აცნობოს, რომ მოთხრობა „ელისო" რამოდენადმე განსხვავებული სახით იბეჭდება: ენა (როგორც ფორმები, ისე გამოთქმა და ფრაზეოლოგია) აღნიშნულმა წრემ თავის გამოცემათა მიხედვით შეაკეთა და აგრეთვე ორი-სამი ადგილი ოდნავ შეამოკლა". უბრალო ენით ამ საქმეს, ამ უმაგალითო საქმეს, რომელიც მხოლოდ ჩვენს საზოგადოებაში შეიძლება ჰქონდეს ადგილი, ენისა და ნაწარმოების **ფალსიფიკაცია** ეწოდება. „ლონების" „თანხმად" გადაკეთება, სიტყვების გადასმა-გადმოსმა, შეცვლა სტილისა,—ყველა ეს ისეთი თავხედობაა, რანაირიც ჯერ არავის გაუგონია.

დაე, შეადგინონ გრამატიკები, დაიცვან ესა თუ ის მართლ-წერა; მიუდგომელი მეჯავრი მეცნიერებისა და ისტორიისა ადრე თუ გვიან სინათლეს მოჰფენს ქართულ ენის ბნელ მხარეებს, მაგრამ შეცვლა ჩვენი მწერლების საუკეთესო ნაწარმოებებისა იმის და მიხედვით, თუ ვის როგორ ესმის ქართულ ენის ბუნება, არავის შეუძლიან. დღეს ყაზბეგი „გაასწორეს", ხვალ ილია ჭავჭავაძეს გაგვისწორებენ, მერე იქნება „ვეფხისტყაოსანის" შესწორებაც მოისურვონ! არა, ბატონებო! ამის უფლება არავისა აქვს.

იქნება ბევრს თვალებში ეჩხირება ისეთი ნაწარმოებნი ჩვენი კლასიკებისა, რომელნიც ენის „რეფორმატორთა" ქინიანობას ვერ ეგუება, მაგრამ ეს კიდევ არავის აძლევს ნებას თავხედურად მოექცნენ ნაწარმოებს. ჩვენი მწერლები, და განსაკუთრებით ისეთი მწერლები, რანაირიც არიან შოთა რუსთაველი, ილია ჭავჭავაძე და ყაზბეგი, ენის კანონმდებლები არიან, და მათი „შესწორება" ყოველს გამვლელ-გამომვლელს ვერ შეუძლიან.

თუ ევოლიუცია ქართულ ენისა იქამდის მიგვიყვანს, რომ ძალიან დავშორდებით ჩვენი მწერლების ენას,— დაე ესე იყოს, მაგრამ მათი შესწორება ეხლავე მხოლოდ ფალსიფიკაციაა, ნაძალადევი, ხელოვნური გარდაქმნა, რასაც ყოველი შეგნებული ქართველი მთელის თავის არსებით უნდა ებრძოდეს... **არ. ჯ—შვილი.**

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 სექტემბერი.

**ს ა ზ ღ ვ ა რ - გ ა რ ე დ.**

**მონასტერი.** დებრში ალბანელთა მოძრაობა ძლიერდება. აჯანყება მთელს კუთხეს მოედო. ალბანელებს მერსინდემი ხელმძღვანელობს. შეიარაღებულთა რიცხვი 3,000-ია. ჯართან რამდენიმე შეტაკება მოუხდა, ორივე მხარე დაზარალდა.

**სტოკჰოლმი.** რიტცაუს ცნობებით, სახალხო არჩევნები, რომელიც პროპორციონალურად საყოველთაო საარჩევნო ხმით პირველად მოწყობილი, 230 დეპუტატში 204 ამოირჩიეს. ამათში: მემარჯვენე—61, მემარცხენე—87, სოციალისტი—57. მოსალოდნელია კაბინეტის შეცვლა. სოციალისტებმა განაცხადეს, ახალ კაბინეტში არ შევალთო.

**პარიზი.** დესკალიოს და დესილვეს თათბირი ჰქონდათ. დელკასემ კამბონი და ლონდონში მყოფი საფრანგეთის ელჩი მიიღო.

**ცეტინიე.** სკუპჩინაში 45 მთავრობის კანდიდატი გავიდა. არჩევნების საქმე მშვიდობიანად მიდის.

**ბერლინი.** ბულგარეთის წარმომადგენლებმა და გერმანიის მთავრობამ დამნაშავეთა გაცემისა და სავაჭრო ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს.

**ტულონი.** ჯავშნოსან „ერნესტრენანს" ებრძანა, ზღვაში გასასვლელად მზად იყავით.

**ჩ რ ე ნ ა**

**იოშანისტალი.** მეფრინავი კაპიტანი ენგელგარდტი მანქანიდან გადმოვარდა და სასიკვდილოდ დაშავდა.

**რ უ ს ე თ ი.**

**პეტერბურგი.** ზილანის გაფიცვის კომიტეტის საქმისათვის ინჟ. აინაგსკის პალატამ 4 წლით ციხე მიუსაჯა, ტელეგრაფისტ მატრინს—3 წლით, აგრებანს და ფერმად ლუდიკოვს—2 წლით, სამუილს—წლიწადი, ერთი გაამართლა.

პუტილოვის ქარხნის საავადმყოფოში სულით ავადმყოფმა მუშამ ექიმი რობაკოვსკი მოჰკლა.

**სევასტოპოლი.** მეფე ზედ-ზე ორთქლმავალ კატერით გავიდა, ხალხი და ჯარი აღტაცებული იყო. მეფემ სევასტოპოლის ღარიბთ 10,000 მან. შესწირა.

ოდესა. შავი ზღვის მხრივ ქალაქი უზრუნველყოფილად გამოაცხადეს.

პეტერბურგი. ვაჭრობის მინისტრმა სათათბიროში კანონ-პროექტი შეიტანა 1911 წელს 131,868 მანეთის გადადების თაობაზე. ეს ფული ერობისა, ქალაქების, ამხანაგობათა, წოდებრივ საზოგადოებათა და სხვათა დასახმარებლად უნდათ.

პეტერბურგი. ტფილისსა და თავრიზს შუა ტელეგრაფის მოქმედება სრულიად შეწყვეტილია.

ოდესა. სამხედრო-საველე სასამართლომ ორ დამცემს სიკვდილი მიუსაჯა. ამათ 1911 წ. ივლისში ამერიკულ სამკალ მანქანათა კანტორაზე თავდასხმაში მონაწილეობა ჰბრალდებოდათ.

## თეატრი და ხელოვნება

**სახალხო სახლში.** ხუთშაბათს, 15 სექტემბერს, ქართული სექციის მიერ წარმოდგენილი იქნა „ბრძყალები“, პოლ ერვიეს სამ მოქმედებიანი დრამა. ეს დრამა კარგა ხანია სთარგმნა მ. მაჭავარიანმა, ქართველი საზოგადოება მას იცნობს აგრედვე კრიტიკული წერილებით, რომელიც ჩვენ გაზეთში ამ ორი კვირის წინად იბეჭდებოდა, სადაც ამ დრამას დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული. უმთავრეს როლს ირინესას—ქ. დავითაშვილი ასრულებდა პირველ მოქმედებაში მას უგულობა ეტყობოდა, შემდეგ კი საუცხოვოდ თამაშობდა. განსაკუთრებით კარგი იყო მის გადმოცემაში ფსიხოლოგიური მომენტები: ტანჯვა ქალისა, რომელსაც სურს თავი დააღწიოს ქორწინებას დამონებულ „ბრჭყალებს“, მაგრამ მეუღლის მძლავრ ნებაყოფლობასთან უძლურია და იძულებულია მტკიც ე ხასიათის წინაშე ქედი მოიხაროს., აგრედვე მომენტი, როდესაც დედა, შვილის განაცხდელისაგან დასაფარავად, არ ერიდება მწარე სინამდვილის გამჟღავნებას, თავისი ღალატის აღიარებას. და როდესაც კი ეს მოხდა, უნებლიედ დამონებული სული ქალისა თავისავე და ძმის შემწეობით შურისძიებას ლამობს. ჩვენი მსახიობების საერთო სენ ხანდახან ქ-ნ. დავითაშვილიც ექვემდებარება ხოლმე. ქართული ენა ხანდახან მოიკოჭლებდა. და იმედია შემდეგ ეს მხარე მეტი ყურადღების ღირსი გახდება. განსაკუთრებით საჭიროა ეს სახალხო სცენის მოყვარეთათვის.

ირინეს უფროს დის, მარიამის რთულ როლს სრულიად გამოუცდელი სცენის მოყვარე ქ. გოგოლაშვილი ასრულებდა. ეტყობოდა არც ცდა და არც სწავლა დაეკლო მას. როლი კარგად ჩაატარა. მაგრამ შუახნის დინჯ, ცხოვრება ნახულ დედაკაცს სულ სხვა მანერები და ხმა შეჰფერის. გრიმიც არა ჰქონდა შესაფერი. თუმცა მისი მკაფიო გამოთქმა განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია.

ფერგანის როლში კარგი იყო შ. დადიანი. მაგრამ ცოტა მეტი გრძნობა მაინც ესაჭიროებოდა.

ა. მეტრეველი—მიხეილ დევერნიე და ნ. გოცირიძე—ვალანტონი არ იყვნენ დასაწუნებელი, მხოლოდ პირველ მათგანს ერთად ერთი ნაკლ ჯერ ვერ მოუცილებია. ყველა როლში იგი—ერთფეროვანია. ნ. გოცირიძე კი ხმის ინტონაციებით ძლიერ ბაძავს ერთ-ერთ ქართულ მსახიობს. სრულიად მეტია ეს, როდესაც ახალგაზდა მსახიობი ბუნებისაგან უხვად არის დაჯილდოვებული როგორც ნიჭით, ისე თამაშობის უნარით.

ანსამბლმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. სარეჟისორო ნაწილი ყურადღებას იქცევდა, სტილის მთლიანობით და წვრილმანების გათვალისწინებით. იმედია მხოლოდ პირველი წარმოდგენა არ იქნება ასეთი მწყობრი და თვალსაჩინო. დარწმუნებული ვართ ახალგაზდა რეჟისორი და ახალი გამგეობა დაამტკიცებენ, რომ ხალხს არ უყურებენ, როგორც ესთეტიურ გემოვნება განუვითარებელს და მუდამ ასეთ წარმოდგენებით გაუმასპინძლდებიან.

დასასრულ წარმოადგინეს ვ. გუნიას ვოდევილი „არივ-დარია“. ვოდევილმა მშვენივრად ჩაიარა. ქ. დავითაშვილისამ მოახლე თებროს როლში შეუდარებელი კომიზმი გამოიჩინა. ვოდევილში კარგი იყო აგრედვე ქ. გოგოლაშვილი ნინიკოს როლში, რომელიც მან მოხდენილად ჩაატარა. კარგები იყვნენ აგრედვე: მ. ქართველიშვილი—ანუკა, ხახანაშვილი—მამუკა და შ. ხონელი—ივანიკა. თეატრი ხალხით სავსე იყო.


## განცხადებანი

**დოქტ. ნავასარდიანისა**

ყოველ დღე, კვირეებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

უ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანახოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მუღანი: 10—12 ს. ყურისა. ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტიხიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

ქალ. ექიმ. ბ. ხ. ზილბერშაცი: 12 ნახ.—1 ს. საბებ., ქალ. და ბავშვებისა.

გ. ი. გურგენოვი: 1—1 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

ბ. გ. აგახაროვი: 1½—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ქალ. ექ. ბ. ხ. ზილბერშაცი: 5—6 ნახ. ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

ო. ა. გევეხკიან-ენგელი: 6—6½ საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. ფ. გარცმანი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. **606** წამლობა, კონსულტაციურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

(წ. (1168—184)

მუხრანის ხიდთან

**სამკურნალო**

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цицiановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

ა. ა. გაზაზოვი—შინაგან სნეულებანი, დილის 10—11 ს.-დე.

გ. მ. გოგობერიძე—შინაგან და ბავშვებ., დილის 11—12 ს.-დე.

მ. ქ. ითხელიანი—დედათა სნეულებ., დილის 10-ნახევარიდან 11 ს.

მ. ლ. შტრეიხერი—ყელისა და ყურისა, 11 ნახ.—12 ნახ. ს.

ლ. გ. ხაუბარელიძე—შინაგან და ბავშვებ., 12 ნახ.—1 ს.-დე.

იაშვილი—შინაგან, 1—2 ს.-დე.

გ. ბ. მელქონიანი—ქირურგ., 12—1 საათამდე.

ა. ი. გრიგორიანი—ქირურგ. 11—12 ს.-დე.

გ. ა. ახვერდოვი—შინაგან, 12 ნახ. —1 ნახ. ს.-დე.

მ. დ. კილოხანიძე—ქირურგ. 12 ნახ. —1 ს.-დე.

ჰ03 ში—კბილისა, 8—10 ს.-დე.

ლ. მ. მონინი—დედათა სნეულებანი და საბებიო, 1 ნახ.—2 ს.-დე.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata) „606“-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ მორიგებით.

№ 646. 100—50 (0—1003—143

**საბუღალტერო კურსები**
გ. და მ. ტერ-დავიდოვებისა.
ნიკოლოზის ქ., N 36, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად.
კანცელარია ღიაა საღამოს 4—6 ს
სწავლა დაიწყება 15 ენკენისთვიდან. (25.781.18)

ქ. თელავში
ისყიდება პირველად გამოსული ქართულ ენაზე
**ჭრა-კერვის**
● წიგნი ●
თვით-მასწავლებელი, 128 ნახატით.
ახალი მეთოდი.

ექვს ნაწილად; ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული

სოფიო ი. სიმონოვის მიერ.

ფასი ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტს ერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერვა შეიძლება ფასდადებითაც. ადრესი: Въ г. Телавъ, „Щкола кройки и шитья Софiи Іосифовны Симоновой. Вульв. пер. 2. собс. домъ.
(100—1140—69)

სამკურნალო კაბინეტი
**ექიმ პ. ს. ფონ-ირტელისა**
(ელისაბედის ქ., № 17, ცირკოვნი მისახვევის პირდაპირ).

სპეციალისტი-ქირურგი (სიმსივნისა), საშარდე ბუშტისა, მილისა, თირკმელებისა და სასქესო ორგანოთა (უძლობა, ნერვიული სისუსტე, ჩუკუნების შედეგი), ათაშანგისა და მის შედეგთა, (ერლიხის „606“-ის სმარებით და ბერლინის კლინიკათა სხვა საშუალებით), ვენერიულ ავადმყოფობათა (სუსუნატისა და მილის დავიწროვების წამლობა), კანის სნეულებათა წამლობა ელექტრონით და ოპერაციები.

ავადმყოფთა მიღება დილის 9—12 საათამდე და საღამოს 5—8 ნახ. საათამდე. ქალთათვის ნაშუადღევის 2—3 საათამდე. (25.1505.3)

გამოცდილი **მასწავლებელი**

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელებს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის **პირობებით**: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სავაჭრო სასწავლებლისთვის, სატექნიკო, სამხედრო, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლისთვის. აგრეთვე საბებიო ინსტიტუტისათვის, ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე**. ყველა კლასის ჩინისთვის. ღებულობს ანბანის უცოდინარ ქალ. ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, 2) ვერაზე, 3) ვაგზალზე. მონაწილეობას მიიღებენ მასწავლებლები მცოდნენი სხვა და სხვა ენებისა და საგნებისა. მეცადინეობა დაიწყება დილის 8 საათზე და გაგრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა, მიიღებენ სრულ ხარჯზედაც, **პანსიონში**. მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ-დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

სიმონოვის ქუჩა, № 23, ქვემო სართულში. შესასვლელი მთავარ-კარებიდან, ქვემო ხარი, და ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. (თ.—1084—30)

სუსუნატის წინააღმდეგ
ახალი წამალი
„SALO-პირილინი“

სწრაფად და საფუძვლიანად მოქმედობს და ექიმთა აზრით გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფში ძევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფითაა, 1 მან. და 80 კ.

აგრედვე კარგად მოქმედობს ამ სენის გამწვავებისა და ქრონიკულად გამოჩენის დროს და სულ მოკლე ხანში შეუწყვეტელ მდინარეობასაც აჩერებს.

დეპო: Петербургъ. Разъѣзжая, N 7, Аптека В. Конгейма.

ფას-დადებით იგზავნება. გასაგზავნი ფოსტის ტარიფის მიხედვით. კავკასიის სააფთიაქო საქონლია. მოვაჭრე საზოგადოებაში იშოვება Метцль. 12429. (45—1014—32)

უდიდესი **საჩუქარი**
!!!სიცოცხლეში ერთხელ!!!
600 ნივთი მხოლოდ 3 მ. 90 კ.

1. მშვენიერი საათი—ანკერ სწორედ მოსიარულე, მქვსი წლის თავდებობით. 2. საუცხოვო საქალებო ბეჭედი, ამერიკულ ბრილიანტით. 3. ჩინებული მანიაკი, ზევს აღმოსავლ. მარგალიტებით და პატენტშესაკრავით. 4. მოხდენილი და ლაზათიანი ქალის სამაჯური ამერიკულ ოქროსი „დუბლე“. 5, ჯიბის ლამაზი „ნესესერი“ ოთხის ნივთით. 6. ერთი წყვილი საყურე საუცხოვო ამერიკულ ბრილიანტით და პატარა შესაკრავი. 7 მშვენიერი და ლაზათიანი ტყავის საფულე. 8. ალბომი 50 საყურადღებო სანახაობით. 9. მუშტუკი-აპარატი ექიმ კოხისა, თუთუნის მავნებლობის ამაცილებელი. 10. მექანიკ. დასაკეცი მაკრატელი მშვენიერის ბუდით. 11. და კიდევ 500 სხვა საგულისხმო და სახარგებლო ნივთი. სულ, 600 ნივთში, საათიანად, მხოლოდ 3 მ. და 90 კ. (მხოლოდ საათი ღირს ამ ფასად).

ვინც ერთიდან სამ წყებას მაინც დაიბარებს, გასაგზავნ ხარჯად იხდის 55 კ., ციმბირში კი—95 კაპ.

მისამართი: О-ву «Меркурiй», Лодзь, з. 45 თუ არ მოეწონებთ, ფულს უკანვე დაგიბრუნებთ. წერილები გთხოვთ დასწეროთ რუსულად. Метцль и К-о, 60493 (8.1494.4)

ქ. ტ. წ. ქ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

**ისყიდება შემდეგი წიგნები:**

| | |
|---|---|
| თხ. არჩ. ჯორჯაძისა: | წ. 1-ლი „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ . . . . ფ. 75 კ. |
| „ „ „ | წ. 2-ე „ჩვენი საზოგადოებრიობა“ . . . . . . . ფ. 80 კ. |
| Bato n-ისა: | „ერი და კაცობრიობა განხილ. სოციოლოგიური მხრით“ ფ. 1 მ. 20 კ. |
| გ. ყიფიანისა: | «სამეგრელოს მთავარი ლევან», 4 მოქმ. დრამა . . . . ფ. 40 კ. |
| შიუკაშვილისა: | «მეგობრობა», 4 მოქმ. დრ. ფ. 30 კ. |

ტფილისის ქალაქის
**გამგეობა**

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ 22 სექტემბერს, ნაშუადღევის 1 საათზე, დანიშნულია საქალაქო ყანთრის იჯარით გაცემა შუაბაზარში. პირობების გადაშინჯვა შეიძლება ქალაქის გამგეობის საიჯარო განყოფილებაში ყოველდღე, კვირა-უქმის გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. (3—1503—2)

სააქციო ნერო საზოგადოება
„ს.-პეტერბურგის საქიმიო ლაბორატორია“.
(დაარსებული 1860 წ.).
იზმაილოვის პროსპ., № 27.
პარიზის 1900 წ. ოქროს მედალი.

**სატუალეტო ძმარი**




ამ ძმარის მრავალ-გვარმა კოსმეტიურმა თვისებებმა ტუალეტის უსაჭიროესი ალაგი დაიჭირა.

მთავარი საწყობი: ტფილისი, სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობა.

(12—1291—4)



ალექსანდრე
**თაბაგარი**
მ ა ღ ა ზ ი ა შ ი
საკერავი და საქსოვი მაშინები,

ქუთაისი ალექსანდროვის ქ.

გრამოფონები და ველოსიპედები

და მათი მოწყობილება დამზადებულია საზღვარ-გარეთის საუკეთესო ქარხნებში, რის სიკარგეშიც ვიძლევი გარანტიას. ფასები საქარხნოა (ზომიერია), როგორც ნაღდზედ, აგრეთვე ნისიათ, (თვიურად შემოტანით). ჩვენს საკერავ მაშინებს აქვს წარწერა. „ПО ОСОБОМУ ЗАКАЗУ—А. Р. ТАБАГАРИ КУТАИСЪ“, რომელიც უტყუარია და მყიდველებიდგანაც მაქვს მადლობის წერილები. მყავს გამოცდილი მექანიკი, შეკეთება ყველაფ რის კარგად და ზომიერ ფასებში. გრამოფონის პლასტინკები ახალ-ახალი მოგვდის ყოველ კვირა.

ფოსტის ადრესი: Кутаисъ, А. Р. Табагари.



(50—1072—41)

ქალი 16-18 წლისა
ქართველი **საჭირო არის**
ქართულ ოჯახში ყმაწვილის მოსავლელად.

ალექსანდროვის ქუჩა, № 3, ბინა ექიმ არდაზიანისა, „პადიეზდის“ ზარი დარეკეთ. (2.826 2)

**ექიმი** ვ. მუსხელიშვილი მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 საათ. დიდი მთავრის ქუჩ., N 67, სახლი ხვანიშვილისა.

გაუფ რთხილდით ფალსიფიკაციას
პროვიზორ
**გ. ფ. იუზერნსის**
ბორნო-ტიმოლის
● საპონი ●
ოფლისა, მზის ნამწვისა, ძიძიბებისა, მელასი და ჭორფლის წინააღმდეგ კეთილ-სუნელოვანი ხელის საპონი უმაღლესი ღირსებისა.
ყველგან ისყიდება.
½ ნაჭერი 50 კ. ½ ნაჭ.—30 კ.
Метцль. 5215. (18—1178—13)

**ჭრა-კერვის სკოლა და სახელოსნო**

ვღებულობთ ქალთა ტანისამოსს
● შ ე ს ა კ ე რ ა დ. ●
ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს.
(წყნეთის ქუჩაზე, № 17, ვერაზე),
(10—803—4) გამგე ანა მერკვილაძისა.

**საკერავი მაშინა**
**ზინგერის კომპანიისა**
იყიდება
მხოლოთ კომპანიის საკუთარ მაღაზიებში
ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილ 1 მანეთიდან


ხელის მაშინები ფასად 25 მანეთიდან
მაღაზიის ნიშანი.
უფასოდ ვასწავლით სიუვლებს
მაღაზიები ყველა ქალაქებში.

(წ.—1062—32)

სალიანის თევზით მრეწველ და მოვაჭრეთ
**ძმ. ძეგველოვების**
● მ ა ღ ა ზ ი ა ●
პუშკინის ქ., საკუთარი სახლი, № 9, ტელეფონი № 712,
**ახალ-ახალი**
ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).
ყოველ დღე ცხელი **დოში**.
საუკეთესო ქაისუნი ხიზილალა გირვანქა 1 მ. 20 კ.
აგრეთვე მივიღეთ საუკეთესო ღირსების სელიოდკები სამეფო, დუნაისა, რიგისა და ქერჩისა.
(წ—1058—)

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
**საკომერციო ცოდნათა კურსები**
ტ. მ. ფილოიანისა.
(ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, სახლი № 24—4, ტელეფონი 976).

სპეციალური საკომერციო განათლება ვაჟებისა და ქალებისათვის. კურსის დამთავრების შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი. პრაქტიკული მეცადინეობა იხეა მოწყობილი, როგორც Pitman-ის სასწავლებელში (ლონდონში) და პიგერის (პარიზში), მუნტერ-ლომტორიში. მასალა რეალურ ცხოვრებიდან აიღება. საგნები: ა) სავალდებ.: 1. ბუღალტერია (უბრალო, იტალიური, გერმანული, ფრანგული, საბანკო და საფაბრიკო-საქარხნო). 2. კომერციული არითმეტიკა. 3. პოლიტიკური ეკონომია. 4. კანონები (სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება). 5. კომერციული კორესპოდენცია. 6. არითმეტიკა ჩოთქზე. 7. კალიგრაფია, სწორი წერა ხელის გასწორება. ბ) არა სავალდებულო: 1. უცხო ენები. 2. სტენოგრაფია. 3. დაქტილოგრაფია (რემინგტონი და სხვ.) და 4. კომერციული კორესპონდენცია უცხო ენებზე. მეცადინეობა შეიძლება აგრეთვე თითოეულად. თხოვნები მიიღება 10—12 ს. დილით და 4—7 ს. საღამ. პროგრამები და წესები მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველებს უფასოდ კურსების სადგომიდან.

კურსების დამაარსებელი საკომერციო მეცნიერებათა კანდიდატი

(1—1444—1) ტ. ფილოიანი.